# მენორა

גამოდის 1993 წლის მარტიდან

დამოუკიდებელი ებრაული გაზეთი საქართველოში

„MENORA" INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА" НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

ივნისი (სივანი) 1-15 №11 (320) (5770) 2010

ფასი 50 თეთრი

"מנורה" עיתון יהודי בגורג׳יה


# მოშე (მიშიკო) მირილაშვილის დაბრუნება



გუშინ, 1 ივნისს თელ-ავივში, შენკენის ქუჩაზე გაიხსნა ახალი ბეით ქნესეთი „ბეით მოშე". ბეით ქნესეთს საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის პირველი პრეზიდენტის - მოშე (მიშიკო) მირილაშვილის სახელი მიეკუთვნა.

1937 წელს აშენებული უკვე ლამის დაშლილი, ავარიული შენობა მამის სახელზე განაახლა და დაამშვენა სემ კონგრესის ვიცე-პრეზიდენტმა გაბრიელ მირილაშვილმა.

ბეით ქნესეთის აღდგენა ერთი მილიონი დოლარი დაჯდა.

ბეით ქნესეთის გახსნაზე სიტყვები წარმოსთქვეს ისრაელის ქნესეთის სპიკერმა რუბი რივლინმა, ქნესეთის წევრებმა, ისრაელის მთავარმა რაბინებმა აშქენაზებისა იონა მეცგერმა და სეფარდებისა - შლომო ამირმა, ბუხარელ ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტმა ლევ ლევაევმა, ევრ-აზიის კონგრესის პრეზიდენტმა ალექსანდრე მაშკევიჩმა და სხვებმა.

ბეით ქნესეთში 18 ახალი სეფერ თორა შეაბრძანეს.

ბეით ქნესეთის რეკონსტრუქცია ქ. თელ-ავივის მერიასთან თანამშრომლობით მიმდინარეობდა და თელ-ავივის 100 წლისთავს მიეძღვნა.


იკითხეთ გაზეთი „მენორა" ინტერნეტ-საიტზე www.menora.ge

# საქართველოს დამოუკიდებლობის დღე თელ-ავივში

## ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტრო: ჩვენ არც საქართველოს მხარეს ვართ და არც — რუსეთის



ამ დღეებში ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს ცენტრალური ევროპისა და ევრ-აზიის დეპარტამენტმა ჩაატარა საქართველოსთან ორმხრივი ურთიერთობის ანალიზი.

— მოსკოვისა და თბილისის კონფლიქტისას, ჩვენ არ შეგვიძლია დავიჭიროთ რომელიმე მხარე — განაცხადა ამ დიპლომატიური უწყების გენერალური დირექტორის მოადგილემ ფინხას ავივმა, ისრაელს არა აქვს უფლება რეგიონალური კონფლიქტებისას რომელიმე მხარეს დაუჭიროს მხარი. ჩვენ კარგი ურთიერთობა უნდა შევინარჩუნოთ როგორც ერთ, ისე მეორე მხარესთან — განუცხადა პორტალ „IzRus"-ს გენ-დირექტორის მოადგილემ, რომელიც ცენტრალური ევროპისა და ევრ-აზიის დეპარტამენტს ხელმძღვანელობს. ასეთი გახლდათ მისი პასუხი თბილისისა და მოსკოვის კონფრონტაციის თაობაზე დასმული შეკითხვისას. ამ ორ ქვეყანას შორის დაძაბულობა 2008 წლის შემდეგ არ ცხრება.

— ჩვენ ძალიან კარგი ურთიერთობა უნდა გვქონდეს რუსეთთან, მასთან უნდა ვეწეოდეთ ინტენსიურ დიალოგს, ასევე პოზიტიური დიალოგი უნდა შევინარჩუნოთ საქართველოსთან — ხაზი გაუსვა ავივმ.

— საქართველო ისრაელის ყველაზე უფრო ერთგული მეგობარია.

მან აღნიშნა საქონელმიმოქცევის გამუდმებული ზრდა და საქართველოს ეკონომიკაში ისრაელის ინვესტიციების მატება. საქართველოს მინისტრები წელიწადში რამდენიმეჯერ ჩამოდიან ისრაელში, ისრაელის ოფიციალური პირები და ბიზნესმენები ხშირად სტუმრობენო თბილისს.

ავივის სიტყვებით, ამ კვირაში საგარეო საქმეთა სამინისტროში გაკეთდა ორი სახელმწიფოს ურთიერთობის ანალიზი.

— უნდა ითქვას, რომ ჩვენ ძლიერ ვაფასებთ საქართველოს ელჩის **ვახტანგ ჯაოშვილის** აქტიურ მოღვაწეობას — დასძინა ავივმ.

26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღის თელ-ავივის სასტუმრო „დან პანორამაში" აღნიშვნისას ფინხას ავივი დღესასწაულის ერთ-ერთი სტუმარი იყო. მთავრობის სახელით გამოვიდა ეკოლოგიის მინისტრი **გილად ერდანი** („ლიკუდი") სტუმართა შორის გამოიყოფოდნენ საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის პრეზიდენტი **გაბრიელ მირილაშვილი**, „საქართველოს ბანკის" ინვესტიციების დეპარტამენტის ხელმძღვანელი **ვასილ რევიშვილი** და ისრაელ-საქართველოს პიარ სააგენტოს ხელმძღვანელი **ზაზა მესენგისერი**.



## საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს ბ-ნ ნიკა ვაჩეიშვილს

*პატივცემულო ბატონო ნიკა!*

უწინარესად ნება მომეცით, მოგილოცოთ საქართველოს პრეზიდენტის მიერ გადმოცემული დიდი ჯილდო. ეს არის თქვენი ღვაწლის სათანადო და სწორი შეფასება, რადგან თქვენ დიდი წვლილი დასდეთ ქართული კულტურის ძეგლების რესტავრაციის საქმეს.

ნება მიბოძეთ, გაგაცნოთ ჩვენი დიდი სატკივარი – რაჭის გულში დგას სინაგოგა, რომელიც აშენებულია 1895 წელს. ეს სინაგოგა უკვე 115 წლისაა. იგი აშენებულია ვარშავის სინაგოგის პროექტის მიხედვით. ჩვენმა წინაპრებმა სწორედ ვარშავიდან ჩამოიტანეს ამ სინაგოგის პროექტი.

სინაგოგა 1991 წლის მიწისძვრის შედეგად დაზიანდა. იგი შეკეთდა საქართველოს ხელისუფლების და მსოფლიოს ებრაული ორგანიზაციების დახმარებით, ხოლო 2005 წელს, სინაგოგის 110 წლისთავზე სინაგოგას გაუკეთდა მცირე რემონტი. საიუბილეო ღონისძიებაზე გვეწვია საქართველოს პრეზიდენტი ბატონი მიხეილ სააკაშვილი.

ამჟამად სინაგოგის შენობა, რომელიც კულტურის დაცულ ძეგლს წარმოადგენს, კვლავ სავალალო მდგომარეობაშია,– იგი ისევ დააზიანა მიწისძვრამ და მოითხოვს კაპიტალურ რემონტს.

ამის გაკეთება თქვენთან კოორდინაციის და თქვენი დახმარების გარეშე შეუძლებლად მიგვაჩნია.

ონის ებრაელობის სახელით, უმორჩილესად გთხოვთ ონის სინაგოგის მომავლის საკითხი მოაქციოთ თქვენი ყურადღების ცენტრში. მისი შეკეთებისათვის წილობრივ დაფინანსებას მსოფლიოს ებრაული ორგანიზაციებიც გაიღებენ.

*ონის ებრაელთა კავშირი „შალომი".*
*თავმჯდომარე მიხეილ ხახიაშვილი*
*27 მაისი, 2010წ.*

# პიროვნება და საქმე



ნახატი ცისანა ჯანაშვილისა

რასაკვირველია, გარემომცველი სამყარო გავლენას ახდენს პიროვნებაზე, მაგრამ სამყაროსა და პიროვნების ურთიერთობაში მთავარი მაინც ადამიანია, ადამიანი–პიროვნება. სწორედ იგი ქმნის ისტორიას. იუდაიზი პიროვნების ამქვეყნიური არსებობის მისიად იმას მიიჩნევს, თუ როგორ გარდაქმნის გარემოს, როგორ გააუმჯობესებს მას.

სიმონ კრიხელის ესოდენ საპატიო, საიუბილეო თარიღის მოახლოება რომ დროულად გამეგო, მაშინვე ვეტყოდი, თუმცა, იმედი მაქვს, არც დღეს გამინაწყენდება: იგი იმ ადამიანთა შორისაა, ამ მცნებას რომ ასრულებენ. მან ისეთი რამ გააკეთა, საზოგადოების, თემის ცხოვრებაში ისეთი ცვლილება შეიტანა, ერთი ადამიანის მისია აღასრულა თითქმის. არ ვიცი, რას აკეთებდა მანამდე, 60 წლამდე, მაგრამ სამოცსა და სამოცდაათს შორის, უკვე ასაკოვანმა კაცმა შექმნა, ესე იგი გადადგა ნაბიჯი გარემომცველი სამყაროს გაუმჯობესებისაკენ.

გაზეთი არა მხოლოდ ჟამთაღმწერელი, უკეთესი მომავლის დამკვიდრების საშუალებაა. უკეთესი მომავალი კი არსებულის გაუმჯობესებას გულისხმობს. ამ იდეის სამსახურში დგას „დავითის ფარი", სიმონ კრიხელი კი ამ იდეის პროტაგონისტია. ხოლო გარემომცველი სამყაროს სრულყოფა უწყვეტი პროცესია. ეს თუნდაც იქედან ჩანს, რომ ჩვენს ირგვლივ ცოტა როდია ადამიანი, ინტელექტუალობის დასამტკიცებლად ამა თუ იმ გაზეთის ხსენებაზე ტუჩებს დაბრიცავენ და ამბობენ: „არა, ამ გაზეთს არ ვკითხულობ, მაგრამ მერწმუნეთ, თვალს მუდამ ამ გაზეთისაკენ აპარებენ. აბა, სცადე და რამე კრიტიკული აზრი გამოსთქვი, ერთი მეხთატეხა ატყდება. ამით კიდევ ერთხელ ადასტურებენ, რომ არა მხოლოდ ამ გაზეთს, არაფერს კითხულობენ.

ყველაფერი ამის გამო რაც ზემოთ სიმონ კრიხელზე ითქვა, ეს ადამიანი, მისი გაზეთი ნიუ-იორკის ქართველი ებრაელობისათვის ისევე აუცილებლად მიმაჩნია, როგორც სხვა ებრაული ატრიბუტები.

ამ კაცის კი, თავშეკავებულობა და მოთმინების ნიჭი მომწონს, იგი არ გახლავთ ამბიციური, აკეთებს ისე, როგორც ესმის, იცის. და დღეს, გაზეთის არსებობის მეშვიდე წლისთავზე, ათგზის მეტი იცის, ვიდრე იცოდა მაშინ, როცა იწყებდა. მაინც დაიწყო, მაინც შეეჭიდა, გაიმარჯვა. ეს მისაბაძი საქციელია.

გულითადად, ვესალმები ამ ღიმილიან კაცს, ვულოცავ 70 წლისთავს, ვუსურვებ დიდხანს ეკეთებინოს საქმე, რომელიც უყვარს.

*გურამ ბათიაშვილი*



## საქართველოს ებრაელობის ყოველდღიურობა

# საუბარი „ხესედ ელიაჰუს" სამედიცინო სამსახურზე

ყველასათვის ცნობილია, რომ „ხესედ ელიაჰუ" საკმაოდ მასშტაბურ და საჭირო საქმეს ეწევა. მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი სამედიცინო სამსახურია, რომელიც ასობით მარტოხელა ხანდაზმულს ეხმარება მედიკამენტებით იქნება ეს, თუ გარკვეული კონსულტაციებით და ამით ნამდვილად უხანგრძლივებს მათ, არცთუ ისე ადვილ ცხოვრებას.

გაზეთი „მენორა" გაესაუბრა „ხესედ ელიაჰუს" დირექტორს ბ-ნ რევაზ შათაშვილსა და „ხესედ ელიაჰუს" სამედიცინო სამსახურის უფროსს, ექიმ მიხეილ ჯანაშვილს. დავინტერესდით დღეს თუ როგორ მუშაობს „ხესედ ელიაჰუს" სამედიცინო სამსახური.



სამედიცინო პროგრამის ხელმძღვანელი მიხეილ ჯანაშვილი

**„ხესედ ელიაჰუს" დირექტორი ბ-ნი რევაზ შათაშვილი:**

– როგორც მოგეხსენებათ, სამედიცინო სამსახური, არის ერთ-ერთი დიდი პროგრამა, რომელიც ხორციელდება საქველმოქმედო ცენტრ „ხესედ ელიაჰუში".

ეს პროგრამა მოქმედებს „ხესედის" გახსნის პირველივე დღიდან და დღეისათვის დიდ დახმარებას უწევს ჩვენს სამეურვეო პირებს.

სამედიცინო სამსახურის ბიუჯეტი რომ შევადაროთ „ხესედის" გახსნის პერიოდს, იგი ალბათ 20-ჯერ და მეტად არის გაზრდილი. ეს იმის მაგალითია, რომ „ჯოინთი", რომელიც არის ჩვენი ძირითადი და ამ ეტაპზე სამწუხაროდ, ერთადერთი სპონსორი იჩენს ყურადღებას იმ პრობლემებისადმი, რომელიც აქვთ დღესდღეობით ჩვენს სამეურვეო პირებს და ჩვენ ერთად ვცდილობთ ნაწილობრივ მაინც ამ პრობლემების გადაწყვეტას.

აღნიშნული პროგრამის გამოყოფილი თანხების 80% პრაქტიკულად მიაქვს პროგრამა „აფთიაქს".

პროგრამა „აფთიაქის" საშუალებით ჩვენ შეგვიძლია და ვაწარმოებთ უფასო მედიკამენტების გაცემას სამეურვეო პირებისადმი, თუმცა ეს ასე ავტომატურად არ ხდება. ამისათვის არსებობს ძალიან მკაცრი კრიტერიუმები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს, ეს დახმარება ყველასათვის თანაბარი და ხელმისაწდომი გავხადოთ.

***– რა კრიტერიუმებია ეს?***

– რთულია ამის მთლიანად ჩამოყალიბება, თუმცა, მოკლედ მოგახსენებთ. ეს გახლავთ ჩვენი სამეურვეო პირების, მათი დაავადებების კლასიფიკაცია, რომელიც იყოფა ჯგუფებად. ყოველივე ეს გვეხმარება სამართლიანად და თანაბრად გავუწიოთ დახმარება ამ პროგრამაში მოხვედრილ თითოეულ ადამიანს.

სწორედ ზემოთ აღნიშნული ჯგუფების საშუალებით ჩვენ ვადგენთ თითოეულ სამეურვეო პირს თუ რა სიხშირითა და ოდენობით შეუძლია უფასო მედიკამენტების მიღება. ჩვენ აუცილებლად ყურადღებას ვაქცევთ ადამიანის ზოგად და ეკონომიკურ მდგომარეობას, მათ შემოსავალს. სამწუხაროდ, პროგრამა ვერ გასწვდება, რომ ვთქვათ 1700 –მა ადამიანმა ერთდროულად მიიღოს ეს დახმარება. ეს პრაქტიკულად შეუძლებელია, ამიტომ სამეურვეო პირმა, რომელიც მოგვმართავს, უნდა იქონიოს ფორმა, სადაც იქნება ჩამოყალიბებული მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა. ის რეკომენდაციები, რომელსაც მისი ექიმი გამოწერს, რადგან „ხესედს" არ აქვს უფლება ექიმის მიმართვის გარეშე თავად გამოუწეროს ესა თუ ის მედიკამენტები პაციენტს. ჩვენ არ ვართ ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულება. ჩვენ ვართ მხოლოდ შემსრულებლები იმ დანიშნულებისა და მკურნალობის, რომელსაც ექიმები უნიშნავენ სამეურვეო პირებს.

ჩვენ გვაქვს დამტკიცებული წამლების ნუსხა, რომელიც თითქმის ყველაზე ხშირად აქვს გამოწერილი ექიმს სამეურვეო პირებისადმი და მათ რეცეპტების მიხედვით გავცემთ. არსებობს კვოტა: რამდენი თანხის მედუკამენტი შეუძლია თითოეულ ხანდაზმულს მიიღოს თვის განმავლობაში. რა თქმა უნდა, დიდი ყურადღება ექცევა, როგორც უკვე მოგახსენეთ, ხანდაზმულის ოჯახურ და ეკონომიკურ მდგომარეობას. მარტოხელა სამეურვეო პირს მედიკამენტის უფრო ხშირად მიღების საშუალებას ვაძლევთ.

***– მედიკამენტების გაცემის გარდა, თუ არსებობს კიდევ რაიმე სახის დახმარება?***

– არსებობს ასევე "ხესედის" პროგრამა „SOS" რომელიც საშუალებას გვაძლევს ნაწილობრივ დავეხმაროთ საავადმყოფოში მწოლიარე ადამიანებს. მოგეხსენებათ თუ რა ძვირია საავადმყოფოში თანხის გადახდა, განსაკუთრებით კი საოპერაციო თანხისა.

ჩვენი რესურსებიდან და ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე ვცდილობთ ნაწილობრივ მაინც შევუმსუბუქოთ ამ ადამიანებს მდგომარეობა.

ამ პროგრამის მეშვეობით ასევე ვეხმარებით კბილის პროტეზების და სათვალეების შეძენაში.

ამის გარდა, გვყავს ვოლონტიორი ექიმები, რომლებიც სამეურვეო პირებს ეხმარებიან, ურჩევენ თუ სად უნდა მივიდნენ, რომელ სამედიცინო დაწესებულებებში, რომ ეს თუ ის დახმარება მიიღონ. ვაძლევთ დარიგებებს, თუ რა შეიძლება მოითხოვონ ჯანმრთელობის სამინისტროში, როგორ გამოიყენონ სადაზღვეო პოლისები და ა.შ.

ასევე ძალიან გვეხმარება ჩვენი მეგობრული კავშირები საბერძნეთის პოლიკლინიკა „ჰიპოკრატთან". ეს არის ძალიან მაღალი კვალიფიცირებული კადრებით დაკომპლექტებული, კარგი და ძვირადღირებული აპარატურით აღჭურვილი პოლიკლინიკა, სადაც ჩვენს სამეურვეო პირებს აბსოლუტურად უფასოდ შეუძლიათ მიიღონ იქ პირველადი სამედიცინო დახმარება, რისთვისაც მათი მადლობელი ვართ.

„ხესედ ელიაჰუს" სამედიცინო პროგრამის დირექტორი გახლავთ ექიმი ბ-ნი მიხეილ ჯანაშვილი. ძალიან გულთბილი და ყურადღებიანი პიროვნება, რომელსაც ძალიან უყვარს თავისი საქმიანობა. „ხესედ"-ში რვა წელია მუშაობს და საკმაოდ კარგად უძღვება ამ საქმეს.

***– ვინ გაწვდით მედიკამენტებს და სად შეუძლია სამედიცინო პროგრამაში მოხვედრილ ხანდაზმულს მიიღოს ესა თუ ის წამალი?***

– მე-5 თვეა ჩვენ ვმუშაობთ „ავერსის" აფთიაქთან. გვაქვს საკმაოდ ცივილური და კარგი მომსახურება. ხელშეკრულება დავდეთ „ავერსი ფარმასთან", სადაც სამედიცინო პროგრამის მონაწილეს შეუძლია მიიღოს მისთვის აუცილებელი, რეცეპტით გამოწერილი მედიკამენტები.

ვთვლი, რომ ეს დიდი დახმარებაა ხანდაზმულებისათვის. იგი სტაბილურია. გვაქვს მყარი გრანტი და „ჯოინთის" დიდი მხარდაჭერა.

***– დღესდღეობით რამდენი ადამიანი ირიცხება ამ პროგრამაში?***

– 400 კაცამდე, რომელიც ყოველთვიურად ღებულობს მონაწილეობას პროგრამა „აფთიაქში".

***– რა სიახლეებს პირდებით თქვენს სამეურვეო პირებს?***

– ვაპირებთ ინფორმაციული ბუკლეტის შექმნას, რომლის საშუალებითაც სამეურვეო პირს ეცოდინება თუ რა სახელმწიფო დახმარებები არსებობს სამედიცინო სფეროში, რა სახის დახმერება ეკუთვნის მას. აუცილებელია მათ იცოდნენ თავიანთი უფლებები და უკეთ ინფორმირებულნი იყვნენ, რათა სწორედ მიმართონ გარკვეულ სამედიცინო დაწესებულებებს.

ასე რომ ჩვენ ასეთ ბროშურებზე ვმუშაობთ და ვთვლით ამით გარკვეულ და საკმაოდ დიდ დახმარებას გაუწევთ ხანდაზმულებს.

**„ხესედ ელიაჰუს" სამედიცინო პროგრამის დირექტორი ექიმი მიხეილ ჯანაშვილი:**

– მინდა მოგახსენოთ, რომ სამედიცინო პროგრამა ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ შეუმსუბუქოს თავისი საქმიანობით ის გარკვეული სამედიცინო პრობლემები ჩვენს სამეურვეო პირებს, რომელიც მათ აქვთ.

არის შემთხვევები, როდესაც ჩვენი მეურვეები, მოგვმართავენ შეწუხებულები, რადგან ისინი ზოგიერთ სამედიცინო დაწესებულებაში უყურადღებოდ დატოვეს, ან არ გაუწიეს საჭირო დახმარება. ჩვენ ვცდილობთ დავეხმაროთ აღნიშნულ შემთხვევებში ჩვენს სამეურვეო პირებს.

საერთოდ მინდა აღვნიშნო, ამ პროგრამამ ბევრ ადამიანს გაუადვილა ცხოვრება და ასეც აპირებს გაგრძელებას. ჩვენთან მეურვეები ძალიან დიდ სითბოს და მხარდაჭერას პოვებენ, რისთვისაც ძალიან მადლიერები არიან.

***– დიდი მადლობა. გისურვებთ წარმატებებს.***

*ესაუბრა ლიდია ხომენკო*

# კოტე მარჯანიშვილის პრემია, ჯილდოები, შემოქმედება და პასუხები კითხვა-პასუხის შემდეგ

*ნომრის სტუმარია მწერალი და ჟურნალისტი გურამ ბათიაშვილი*

> *საქართველოდან სასიამოვნო ცნობა მოვიდა: ჩვენი გაზეთის მკითხველისათვის კარგად ნაცნობ მწერალსა და ჟურნალისტს გურამ ბათიაშვილს საპატიო წოდება – კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემია მიენიჭა. ეს მისი პირველი მაღალი ჯილდო არ არის. მას სხვადასხვა დროს მიღებული აქვს: მწერალთა კავშირის პრემია წლის საუკეთესო პიესისათვის (ორჯერ), სახელმწიფო პრემია ისრაელზე დაწერილი წიგნისათვის „მზე ღრუბლებში", სახელმწიფო პრემია დრამატურგიაში; მიღებული აქვს აგრეთვე „ქართული კულტურის ამაგდარისა" და ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდებები. როგორც თავად ამბობს, მთელ ამ კოლექციაში მარჯანიშვილის პრემია და ისრაელის პრეზიდენტის „თეუდათ ოკარა" ყველაზე მეტად ახარებს. ამა წლის 14 იანვარს, ქართული თეატრის დღეს კოტე მარჯანიშვილის პრემიის მინიჭებასთან დაკავშირებით ჩვენ დავუკავშირდით ბატონ გურამს და ვთხოვეთ რამდენიმე კითხვაზე ეპასუხნა.*

***— პირველ რიგში, გილოცავთ ამ საპატიო ჯილდოს. სიმართლე გითხრათ, ძალიან არც გამკვირვებია, რადგან თქვენი დრამატურგიული, პროზაული, კრიტიკული თუ ჟურნალისტური შემოქმედება მართლაც არის მნიშვნელოვანი შენაძენი ქართული კულტურისათვის. რას ნიშნავს აღნიშნული ჯილდო თქვენთვის?***

— მოლოცვისათვის დიდ მადლობას მოგახსენებთ, მით უფრო იმ შეფასებისათვის, ჩემს შემოქმედებას რომ მიეცით. ქართული კულტურა ჩემთვის იყო და რჩება სათაყვანებელ სიმაღლედ – იგი არა მხოლოდ უძველესია, ერთობ მნიშვნელოვანიც. დრო ხომ უფრო და უფრო გვარწმუნებს ამ ჭეშმარიტებაში, და თუ მე შევძელი ამ დიდ კულტურაში თუნდაც მცირე, ძალიან მცირე წვლილის შეტანა, ერთობ ბედნიერ ადამიანად მივიჩნევ თავს.

მეკითხებით: რას ნიშნავს აღნიშნული ჯილდო ჩემთვის. თუ მოკლედ გიპასუხებთ, ვიტყვი ასე: მარჯანიშვილის პრემია ღვთის საჩუქარია ჩემთვის. უფრო კონკრეტულად: კოტე მარჯანიშვილი უზარმაზარი ფიგურაა ქართულ თეატრალურ აზროვნებაში. მან დაამკვიდრა და მაღალ სვეტზე აზიდა ევროპეიზმი. ახლახან მისი „ურიელ აკოსტა" კიდევ ერთხელ ვნახე. ეს არის ძალიან თანამედროვე სპექტაკლი. მიმაჩნია, რომ სწორედ მის შემოქმედებაში იღებს სათავეს ის, რაც ქართულ თეატრში მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში მოხდა – მოხდა კი ის, რომ ქართული თეატრი მსოფლიო ყურადღების ცენტრში მოექცა. ამას გარდა, მარჯანიშვილი რთული ბიოგრაფიის პიროვნება გახლდათ. ჰყავდა დაპირისპირებულნი, თუმცა, თავად არავის უპირისპირდებოდა. თავისი ღირსება წმინდად გამოატარა მძიმე ეპოქაშიც. სამოცდაათიან წლებში პიესაც კი დავწერე მისი ცხოვრების ოთხ დღეზე, რომელიც გოგი ქავთარაძემ ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრში განახორციელა. დღესაც ვმუშაობ კოტე მარჯანიშვილის თემაზე.

პრემიები, ჯილდოები,- ღვთის წყალობით არ დამკლებია. კოტე მარჯანიშვილის პრემია კი განსაკუთრებით სასიხარულოა, რადგან მას სრულიად სხვა სოციალურ-პოლიტიკურ საქართველოში და სხვა ასაკში ვღებულობ.

***— ახდენს თუ არა ჯილდო, როგორც განსაკუთრებული აღიარება პიროვნების შემოქმედებით ცხოვრებაზე გავლენას, და თუ ახდენს, რა გავლენაა ეს?***

— ვერ ვიტყვი, რომ ასეთი მნიშვნელოვანი ჯილდო-აღიარება გავლენას არ ახდენდეს შემოქმედზე. არწმუნებს იმაში, რომ სწორი გზით უვლია, რწმენა კი ძალიან დიდი ძალაა, ძალიან სერიოზული. შემოქმედის ცხოვრებას ხომ მუდამ თან სდევს ეჭვი, სკეფსისი. შემოქმედი სიბნელეში ხელების ცეცებით დადის, ეძებს. ეს ძიება ერთდროულად გახლავთ შვების მომგვრელიცა და სკეფსისის სათავეც. თუ მიაგენი, თუ იპოვე სათქმელის გამოხატვის ფორმა, საშუალება, შვების მომგვრელია, თუ ვერა, თან გდევს

ეჭვი, ვაითუ ისე ვერ ვთქვი, ისე ვერ დავწერე, ვაითუ, გაცვეთილი გზით მივდივარ. ერთი სიტყვით, ამ გზაზე ძალიან ბევრი სირთულეა. რას ნიშნავს ამ დროს ჯილდო, აღიარება? ალბათ, იმას, რომ გინმტკიცდება საკუთარი თავის რწმენა. ესე იგი შეგამჩნიეს, დაგიმახსოვრეს. სწორად გიმუშავნია.

შემოქმედის მუდმივი თანამდევი საკუთარ თავთან მარტოდ დარჩენა, ფიქრი, სიტყვასთან ჭიდილია. მაგრამ ისე ნუ წარმოვიდგენთ, თითქოს ეს ტანჯვა საძულველი იყოს, არა, ეს ჩვენი ნებით არჩეული მოალერსე, მიმზიდველი ტანჯვაა. მას უმალ გადაფარავს, დაგავიწყებს კარგად მიგნებული სახე, კარგი ნაწარმოები. თუ შემოქმედებითი პროცესი მოალერსე ტანჯვაა, ამგვარი შეფასება შემოქმედებით ძალთა განახლების ბიძგია.

***— მოღვაწეობთ სხვადასხვა სფეროში - ხართ დრამატურგი, რომანისტი და ესეისტი, ჟურნალისტი და საგამომცემლო სფეროს გამოცდილი სპეციალისტი, მთარგმნელი... ამათგან რომელია თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი, ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ყველაზე საყვარელი საქმიანობა?***

— ეს ძალიან საინტერესო კითხვაა. ვერც იოლად ვუპასუხებ. მოდით, ასე მოვიქცეთ: ორ ნაწილად დავყოთ ის, რაც მე მიზიდავს და მიკეთებია. პირველ ნაწილში მოვაქციოთ დრამატურგია, რომანისტიკა, ესსეისტიკა. მეორე ნაწილში საგამომცემლო (ცხადია, ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების", გაზეთ „მენორას" რედაქტორობას გულისხმობთ) და მთარგმნელობითი მოღვაწეობა.

რასაკვირველია, ყოველი ჟანრი დამოუკიდებელია, თავ-თავისი კანონით არსებობს და ამ კანონის გვერდის ავლა არა-რა სიკეთეს არ მოგვიტანს. ეს აქსიომაა. ცხადია, ამას ვითვალისწინებ და ამ პრინციპით ვმუშაობ, ვწერ რომანს, პიესას თუ ესსეს, მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ, მწერლობის ამ სამ საჯილდაო ქვას მე ერთ მთლიანობაში განვიხილავ. რას ნიშნავს ეს მთლიანობა? მთავარია სიტყვასთან ურთიერთობა, სიტყვით ზემოქმედების ძალა. უპირველესია სათქმელი – ის, რაც მე, როგორც მწერალმა, მინდა ვუთხრა მკითხველს. სამივე – დრამატურგიაც, ესსეისტიკაც, რომანისტიკაც,

ცხადია, თავისთავადია, მაგრამ ამაზე მაღლა დგას ის, რაც მწერალმა უნდა უთხრას მკითხველს, რისთვის წერს ამა თუ იმ ნაწარმოებს. ამის შემდეგ იწყება იმის ძიება, თუ რომელ ჟანრში უფრო ცხადად და გასაგებად ეტყვი მკითხველს სათქმელს. მაგალითად, „ლალი, სიყვარული და სხვები" მხოლოდ პიესად უნდა დაწერილიყო და არა ისე, როგორც დაიწერა „თუ დაგივიწყო, იერუშალაიმ!" რამდენიმე თეატრში დაიდგა „თავდავიწყების თამაში უცხოთა ლოგინებში". ახლა ქუთაისის თეატრში მარიკა სამანიშვილი უტრიალებს ამ ქალთა პიესას. ვერაფრით ვერ წარმომიდგენია ამ ტკივილის სხვაგვარად გადმოცემა, ისე, როგორც ის არ უნდა დაწერილიყო პიესად, გნებავთ რომანად, თუ როგორ მოვიდა მადრიდში, სასტუმროში, საქართველოს ტახტის მემკვიდრე და როგორ და რატომ თქვა უარი ეროსი მანჯგალაძემ მასთან შეხვედრაზე, მე კი კიბეზე კისრისტეხით ჩავრბოდი, რომ საქართველოს მეფისთვის შემევლო თვალი. კი, ეს ერთობ დრამატული სიტუაციაა, რომელიც საქართველოს ტრაგედიაზე მეტყველებს, მაგრამ მე ამისთვის 3-4 გვერდიანი ესსე ვიკმარე. შესაძლოა, სხვამ ეს ამბავი რომანის ქარგადაც კი გამოიყენოს. ასე, რომ ჩემთვის მთავარია ის, თუ რა შეთხზულ რეალობასთან მაქვს ურთიერთობა, ამ რეალობის რაობა განაპირობებს როგორ, რა ფორმით შეიძლება ამ რეალობის საინტერესოდ და დამაჯერებლად მიტანა მკითხველამდე.

რაც შეეხება ჟურნალისტიკას, მთარგმნელობას, საგამომცემლო საქმიანობას, - „მენორასა" და ჟურნალის რედაქტორობას, ესეც იმ მთლიანის შემადგენელი ნაწილია. ე.ი. მთავარია, თუ რისი თქმა მწადია მკითხველისათვის. ესეც საშუალებაა. მთარგმნელი ხომ არასოდეს არ შეუდგება იმ ნაწარმოების თარგმნას, რომლის სტილისტიკა, დედააზრი მისეულს არ შეესაბამება, არ პასუხობს მის დამოკიდებულებას ამა თუ იმ მოვლენისადმი, რეალობისადმი.

ხოლო, რაც შეეხება „მენორას", ესეც იმ საერთო მონახაზში ჯდება. მოგეხსენებათ, დიდი ქართველი ებრაელი საზოგადო მოღვაწე, ევროპის ებრაელობის „ჰასკალას" მებაირახტრე საქართველოში დავით ბააზოვი სცემდა გაზეთებს „მაკაველი" და „ებრაელის ხმა". ამ გაზეთების არსებობა შეწყდა. მე ძლიერ მეწადა საქართველოში ყოფილიყო ებრაული გაზეთი. ამ იდეის ხორცშესხმა მოხერხდა საქართველოში „ჯოინთის" იმდროინდელი წარმომადგენლის მენახემ ელაზარის დიდი ძალისხმევით.

***ასე რატომ მეწადა ებრაული გაზეთის გამოცემა?***

ჩვენ მრავალი საუკუნეა ამ მიწაზე ვცხოვრობთ. ჩვენ გვაქვს დიდი ისტორია, მემკვიდრენი ვართ სულიერი საგანძურისა, რომელსაც არა მხოლოდ გამომზეურება, ყურადღების მიქცევაც სჭირდება. „მენორამ" თანამედროვე ქართველი ებრაელი ისტორიკოსების მეოხებით ნაწილობრივ მაინც გამოამზეურა ჩვენი დიდებული მოაზროვნეების ნაღვაწი – ჩვენი წარსული, დღევანდელობა.

რაც შეეხება ჩემს მხატვრულ შემოქმედებას, არ მეწადა დავიწყების ბურუსში შთანთქმულიყო ქართველ ებრაელთა მრავალსაუკუნოვანი ცხოვრება ამ მიწაზე. ამ საუკუნეების განმავლობაში ჩვენც ვიყავით, ვარსებობდით, ვქმნიდით. როგორც ერთმა პუბლიცისტმა ბრძანა: ქართველი ებრაელობა ქართული ცისარტყელას ერთი ფერი გახლდათ. აი, ამ ფერის ლიტერატურულ რეალობად გარდაქმნა მწადია, იმის შეფასება, თუ რამდენად ვახერხებ ამას, ჩემს კომპეტენციას აღემატება. ასე, რომ ყველაფერი ერთ რკალშია მოქცეული და ერთ მიზანს ემსახურება. აქედან გამომდინარე, საყვარელი ჟანრი-საქმიანობა, როგორც თქვენ ბრძანეთ, არ მაქვს. ის ჟანრი მიყვარს ყველაზე მეტად, რომელშიც ამჟამად ვმუშაობ. თუ პიესას ვწერ, დრამატურგის წიაღში ვარ ჩაფლული, დრამატურგთა ქერქში ვარ შემძვრალი, თუ რომანს ვწერ, რომანისტიკა და ა.შ. რა აწერინებდა ჭეშმარიტად დიდ მწერალს დავით კლდიაშვილს პროზასაც და დრამატურგიასაც, გინდათ ბულგაკოვს, გნებავთ სხვებს?

***— ბატონო გურამ, ბედმა ინება, რომ ორი კულტურის მსახური ყოფილიყავით – ქართულის და ქართულ–ებრაულის. თუ ყოფილა შემთხვევა თქვენს შემოქმედებით ცხოვრებაში, რომ ერთის ინტერესების გამოხატვისას მეორესთან დაპირისპირების წინაშე დამდგარხართ, ან პირიქით? როგორ გიპოვიათ ასეთი მდგომარეობიდან გამოსავალი?***

— არა, ასეთი შემთხვევა არ ყოფილა. არ ყოფილა ერთი გარემოების გამო: არც ერთი ერის კულტურა არ უპირისპირდება სხვა ერის კულტურას. პირიქით, ავსებს, ამდიდრებს. მაგრამ, არის შემთხვევები, როცა სხვა (თუ არ ვიტყვი – დაპირისპირებული) შემეცნების მატარებელი პიროვნება, მოღვაწე, აუგად იხსენიებს შენთვის მშობლიურს, ძვირფასს. მე მქონდა არაერთი შემთხვევა, როცა შევკამათებივარ არაქართული მენტალიტეტის, არაქართული შემეცნების, ანტისემიტური სულისკვეთებით გამსჭვალულ ავტორებს. ზოგი ამათგანი არაქართულ შოვინისტურ იუდოფობიურ ტრადიციებზე გახლავთ აღზრდილი, ზოგი კი მიიჩნევს, რომ პირველი საუკუნის 30-იან წლებში ებრაულ სამყაროში მომხდარი განხეთქილება, ეს, ასე ვთქვათ, შიდა დაპირისპირება უფლებას აძლევთ დღეს იუდაიზმი წარმოაჩინონ ყოვლად საძაგელ, კაცთმოძულე მოძღვრებად, ხოლო ებრაელობა კაცობრიობის მტრად. მკითხველის პირველი რეაქცია ასეთი იქნება: ვგულისხმობ ქრისტიანებს, ქრისტიანობას. არა, არ არის სწორი. ვგულისხმობ იმ ადამიანებს, რომლებიც არაქრისტიანული კატეგორიებით ცხოვრობენ და აზროვნებენ. არც ქრისტიანობა შეუსწავლიათ ღრმად, არც – იუდაიზმი. პირველი საუკუნის იმ შიდა კონფლიქტზე ალარაფერს ვამბობ. ჭეშმარიტმა ქრისტიანმა ჩინებულად იცის, თუ რომელი მოძღვრება სად იღებს სათავეს, კარგად უწყის იუდაიზმის არსი და თავის თავს, თავის ქრისტიანობას არასოდეს არ აკადრებს იუდოფობიას, რომელიც ქრისტიანობის ზედაპირულ ცოდნაში იღებს სათავეს. უცოდინარობას, გაუნათლებლობას, აგრესია ახასიათებს. სამყაროს ბევრი ტრაგედია სწორედ აქ იღებს სათავეს. მინდა ერთი მოგონება გაგიზიაროთ: რამდენიმე წლის წინათ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ შექმნა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი „წმინდა მიწა". ცენტრის წარდგინებაზე საპატრიარქოში მიმიწვიეს. ისე მოხდა, რომ საპატრიარქოში დანიშნულ დროზე 10-15 წუთით ადრე მივედი. ამ დროის განმავლობაში დიდი დარბაზის კედლებზე გამოფენილ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქთა პორტრეტებს ვათვალიერებდი. ზოგი ფოტო გახლდათ, ზოგიც – ნახატი. რამდენიმე წუთში ჩემსავე თავში აღმოვაჩინე, რომ ამ კეთილსახოვანი ადამიანების მიმართ ღრმა პატივისცემით განვიმსჭვალე, ამ პატივისცემის მიზეზი მქონდა და მაქვს:

მოგეხსენებათ, რაოდენ დიდი იყო (დღესაც ასეა!) კათალიკოს-პატრიარქთა ზეგავლენა ქრისტიანულ საქართველოზე, ზოგჯერ უფრო მეტიც, ვიდრე მეფეებისა. სწორედ კათალიკოს-პატრიარქნი გახლდნენ ქართველი კაცის სულთამპყრობელნი. და როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ საქართველოში არ იყო ანტისემიტიზმი, საქართველოში არ იდევნებოდა ებრაელობა, ამის მიზეზს არა მხოლოდ ებრაელობის საქართველოსადმი ულალატობაში ვხედავ, უმთავრესი მაინც ის იყო, თუ რას ჩააგონებდა ქართული ეკლესია თავის მრევლს, რა სულისკვეთებით ზრდიდა ქართველ ხალხს. ასე, რომ ქრისტიანები კი არ ებრძვიან, ქრისტიანები კი არ წერენ ჩვენს დროში იუდაიზმის, ებრაელობის განმაქიქებელ, დამამცირებელ სტატიებსა თუ წიგნებს, არამედ ქრისტიანობას ამოფარებულნი.

დააკვირდით: ერთი მხრივ, ეს ქრისტიანობას ამოფარებულნი ებრაელობას



ებრძვიან, აკრიტიკებენ, განაქიქებენ იმის გამო, რომ არ მიიღეს ქრისტიანობა, მეორე მხრივ აი, რას ამბობს ნიცშე: „ქრისტიანობა ებრაელობის ეშმაკური გამონაგონიაო", მოციქულ პავლეს (შიმონს) კი ადანაშაულებს, ქრისტეს ჯვარცმა მსოფლიოს დასაპყრობად გამოიგონაო.

აი, ებრაელთა ტრაგედიის აბსურდიცა და არსიც.

ამიტომ, არაერთხელ შევკამათებივარ ებრაელების აუგადმახსენებელთ. აი, ასე ვპოულობდი გამოსავალს, რომელზეც თქვენ მეკითხებით.

ახლა ის ვიკითხოთ, თუ როგორი გამოძახილი ჰქონდა ჩემს მცდელობას, დამეცვა ჩემი ხალხის ღირსება? ქართულ ინტელიგენციაში – ძალიან დადებითი. ამათ ჩინებულად იციან იუდოფობიის არსი. ასევე ჩინებული გამოძახილი აქვს ებრაულ მოსახლეობაში, არაერთხელ გამოუხატავთ კმაყოფილება ჩემი პუბლიკაციებით. გალუთის ებრაელობა განსაკუთრებული ყურადღებით, ნერვიულადაც კი განიცდის მისი რელიგიური, თუ ეროვნული ღირსების ხელყოფას. ამიტომ, როცა ქომაგს დაინახავს, თავდაცვის იმპულსი უძლიერდება. ასე, რომ არაერთ ებრაელს გამოუხატავს დიდი მადლიერება, კმაყოფილება ჩემი პოლემიკური სტატიების გამო, რასაც ვერ ვიტყვი სამეცნიერო, თუ შემოქმედებითი რეგალიებით აღჭურვილ შემოქმედ პირებზე. მათ ეს ყოველთვის როდი მოსწონთ, იქნებ ალიზიანებთ კიდეც და აი, რატომ: მიიჩნევენ, რომ რახან ამა თუ იმ სამეცნიერო, ან შემოქმედებით რეგალიებს ფლობენ (ზოგ შემთხვევაში სავსებით დამსახურებულად), ერის გამორჩეული შვილები არიან და ამ გამორჩეულ შვილებს ან სურვილი არა აქვთ დაიცვან ერის ღირსება, ან შინაგანი ძალა, ან სათანადო ცოდნა, ან სულაც განაღდებულ მშვიდ, უზრუნველ ყოფას ამჯობინებენ, და როდესაც ამას სხვა აკეთებს, არ მოსწონთ, ბრაზობენ კიდეც, როცა ეუბნებიან, ყოჩაღ, ამა და ამ კაცმა რა კარგი პასუხი გასცა ამა და ამ დემაგოგიასო. მიიჩნევენ, რომ ამით მათი დაფნის გვირგვინს ფოთლები სცვივა.

***— თუ სწორად მახსოვს, თქვენი პირველი გახმაურებული პიესა იყო „ვალი", რომელიც გამოხატავდა დრამას, გამოწვეულს ორი ისტორიულად შერწყმულ-შედუღაბებული ერის ურთიერთდაცილების გამო. ამ პიესას მაშინ დიდი სოციალური, თუ გნებავთ პოლიტიკური და მოქალაქეობრივი ჟღერადობა ჰქონდა. პიესაში, და შესაბამისად სპექტაკლშიც, გამოხატული იყო აზრი იმის შესახებ, რომ ებრაელ ერს ვალი აქვს ქართველებისა. გულახდილად გეტყვით, რომ სხვადასხვა ებრაულ თემში სხვადასხვა დროს ამის გამო საყვედური გამიგონია ადამიანებისგან, რომლებიც ამბობენ, რომ ჩვენ, ქართველ ებრაელებს, არავის ვალი არა გვაქვსო. თქვენ თავად რას იტყვით ამაზე?***

— ჩემო მანანა, კარგია, რომ ამ კითხვას დელიკატურად არ აარიდეთ თავი – რახან საკითხი ისმის, პასუხიც უნდა გაეცეს.

რა უნდა გითხრათ ამასთან დაკავშირებით?

ეს საკითხიც იმათი გამოგონილი და გავრცელებულია, ზემოთ რომ ვახსენე – ადამიანებისა, რომლებსაც იმის შიში აქვთ, ჩემი დაფნის გვირგვინს ფოთოლი არ ჩამოცვივდესო. გაიძახიან, გურამ ბათიაშვილმა თავისი პიესით „ვალი"- ებრაელობას ვალი დაადო, მე კი ვაცხადებ, რომ ქართველ ებრაელობას არა-რა ვალი არა აქვსო. ნახეთ, რა ყოჩაღი, ერის ერთგული ბიჭები არიან – ქართველი ებრაელობა ვალისაგან გაათავისუფლეს. „ვალის" შემდეგ დრამატურგიული ოსტატობის თვალსაზრისით უკეთესი პიესები დავწერე, ამათ კი „ვალის" რეზონანსი და წარმატება დღემდე აწუხებთ, მე აღარ მახსოვს ეს პიესა და სპექტაკლის რეზონანსი ისე, როგორც ამათ. ეს იმიტომაც, რომ თქვენი სიტყვისა არ იყოს, ამ პიესას მაშინ დიდი სოციალური, თუ გნებავთ პოლიტიკური და მოქალაქეობრივი ჟღერადობა ჰქონდა.

რაზეა პიესა? კი, იმ ტკივილზე, რაზეც თქვენ ლაპარაკობთ: ორი ისტორიულად შერწყმულ-შედუღაბებული ერის ურთიერთდაცილების თემა უთუოდ არის. ამასთან მე ორი საკითხი მაღელვებდა: ჩვენ ათეულობით საუკუნე ვცხოვრობდით ამ მიწაზე. როგორ ხედავდა და ხედავს ისტორიულ სამშობლოში – ისრაელში დაბრუნებული ებრაელობა საქართველოს, ქართველ ხალხს.

მეორე: მეწადა მეჩვენებინა, მიუხედავად საქართველოსადმი დიდი სიყვარულისა, ქართული ტრადიციებისადმი ერთგულებისა, თუ რაოდენ ძლიერია ებრაელ კაცში სიონისკენ ლტოლვა. კი, საქართველოში ვიყავით, მაგრამ ისტორიული სამშობლო მაინც არ გვავიწყდებოდა, ყოველ დღესასწაულზე ერთმანეთს ვეუბნებოდით: მომავალ წელს იერუშალაიმში შევხვდეთ ამ დღესასწაულსაო. და ჩავიდნენ ისრაელში „ვალის" პერსონაჟები. ხედავთ, რა კარგი ქვეყანაა, რაოდენ ნორმალურად ცხოვრობენ და არც საქართველოს მოგონებასა და პატივისცემას უშლით ვინმე.

რაგვარ ეპოქაში იწერებოდა და იდგმებოდა ეს პიესა? მაშინ, როცა ა. ციციაშვილი ტელეეთერიდან ისრაელს დილასაღამოს აგრესორს უწოდებდა, გაზეთები კი ათას ცოდვაში სდებდნენ ბრალს. არასოდეს დამავიწყდება ერთი ასეთი სცენა: 70-იანი წლების დასასრულს მწერალთა კავშირის ქვედა სართულზე სასადილოში მაგიდას ვუსხედით. თავისი ულუფა აიღო და შემოგვიერთდა მწერალთა კავშირის მდივანი ხუტა ბერულავა. დაჯდა ბატონი ხუტა და ირონიულად მეკითხება: ჰა, გურამ, როგორ შემოგვაპარე ანტისაბჭოთა პიესა? ჩემო მანანა, არ უნდა გაგიჭირდეს იმის მიხვედრა, თუ რას ნიშნავდა იმ წლებში ასეთი შეფასება. ან ის, როცა მოსკოვიდან ჩამოდის სსრკ კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე ბ-ნი გრიბანოვი, რათა დაამტკიცოს თეატრის მოსკოვის საგასტროლო რეპერტუარი და „ვალის" ნახვის შემდეგ კითხულობს:

– Ну что, ребята, вы не в Советском Союзе живете ?

აღარაფერს ვამბობ ცენზურის დამოკიდებულებაზე, როცა ქუთაისის თეატრში გოგი ქავთარაძე რეპეტიციებს ატარებდა და თბილისში მთავლიტი პიესას არ ამტკიცებდა. თეატრში მუშაობდით და უნდა იცოდეთ, თუ რას ნიშნავდა ეს თეატრისათვის – ის რეპეტიციები როგორ იქნებოდა გაგებული ხელისუფლების მიერ და რა შედეგი შეიძლებოდა მოჰყოლოდა თეატრის მიმართ...

ასე, რომ ხელისუფლებისათვის პიესა ანტისაბჭოური, მიუღებელი იყო, იმ დაფნის გვირგვინის ტრფიალი ებრაელებისათვის – ახირების მიზეზი. ამიტომ, ვიდრე შემდეგ საკითხზე გადავიდოდე, მინდა მე დაგისვათ ერთი შეკითხვა: პიესა პირველად ქუთაისის თეატრში დაიდგა, თქვენ, თქვენი ძმები, თქვენი მეგობარ-ნათესავები სპექტაკლის პირველი მნახველები იყავით. სპექტაკლიდან გამოსვლის შემდეგ რა შეგრძნება მოგყვებოდათ, ეროვნული სიამაყისა თუ იმისა, რომ ვალი დაგადეს და თუ ამ ვალს მალე არ გაისტუმრებთ, ცუდი დღე დაგადგებათ?

***— მაგ კითხვის პასუხად ალბათ, ეს ინტერვიუ გამოდგება, ბატონო გურამ.***

— ახლა კი ის საკითხი განვიხილოთ, თუ რა ვალზეა ლაპარაკი, და როგორ სურთ იგი წარმოაჩინონ. ამისათვის საჭიროა გადავშალოთ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. როგორ არის აქ განმარტებული სიტყვა ვალი? „ვალი - 1. სესხად აღებული ფული, ნისიად აღებული საქონლის საფასური და სხვა მსგავსი თანხა, რომელიც უნდა იქნას გადახდილი. 2. მოვალეობა, მამულიშვილური ვალი". ამ მითქმა-მოთქმამ ორი რამ დაადასტურა: გვერდს უვლიან ჭეშმარიტებას, ამგვარი ახირებით ცდილობენ საკუთარი პერსონის წინ წამოწევას და, რაც მთავარია, არ იციან ჩვენი მემკვიდრეობა. რა ასეთი დიდი ლიტერატურა მივიღეთ მემკვიდრეობად, რომ არ იჯდე და ქართველ ებრაელთა ილია ჭავჭავაძის – დავით ბააზოვის ნაწერებს არ ეცნობოდე. ამ მამულიშვილურ, კაცურ ვალზე საუბარი ჩემი დაწყებული სულაც არ არის – დავით ბააზოვი ამაზე საუკუნის წინათ საუბრობდა, რადგან ეს მამულიშვილური ვალი ყოველ ღირსეულ ადამიანს აქვს იმ ქვეყნის ცისა და მიწის მიმართ, რომელშიც დაიბადა, ენა აიდგა, აღიზარდა. მე არ მსიამოვნებს საუბარი იმაზე, ევროპის ქვეყნებში თუ როგორ ირბეოდა ჩემი ხალხი. გამოგიტყდებით, „ვენეციელი ვაჭრის" ნახვაც კი აღარ ძალმიძს. ასე მგონია, პიესის ბოლო მოქმედებაში შაილოკის სასამართლო პროცესზე მეც განსასჯელის სკამზე ვზივარ – მე ვამჯობინებ ებრაულ ზნეობრიობაზე ვსაუბრობდე და „ვალის" წაკითხვის, ნახვის შემდეგ ჩემმა ქართველმა მეგობრებმა მითხრან, ებრაელობას ქართველობის არა-რა ვალი არა აქვსო (და „ვალის" შემდეგ არაერთხელ უთქვამთ). ესე იგი მწერლისეულმა ხერხმა გაამართლა, მიზანს მიაღწია. ერთმა პიესამ ჩინებულად შეასრულა თავისი მისია, მაგრამ როცა ქართველი ებრაელი გაიძახის, ებრაელობას საქართველოს არა-რა ვალი არა აქვსო, ეს არა მხოლოდ დემაგოგიად მიმაჩნია, შორს გაუხედაობადაც. შორს გაუხედაობის უფლება კი ებრაელ კაცს არა აქვს, არც პოპულიზმის: აი, ნახეთ, გურამ ბათიაშვილმა ვალი დაგადოთ, მე კი ეს ვალი ჩამოგაწერეთო. კი, ახლა ბევრი რამ დაკნინდა, აქამდე კუთხეში მიმდგარი და ხმაჩაკმედილი უმეცრება, დღეს მუშტით იკვლევს გზას, მაგრამ ებრაელობა იყო და რჩება არა მხოლოდ ისტორიული მეხსიერების, სულიერების ერადაც. თუ ებრაელი ამ თვისებას ჰკარგავს, თავის ძირებთან ურთიერთობასაც ემშვიდობება



გურამ ბათიაშვილი
მხატვარ ცისანა ჯანაშვილის ნახატი

– შეუმჩნევლად, უხმაუროდ, იქნებ ვერც კი გრძნობს ამ პროცესს...

***— თქვენი რომანების მთავარი მოქმედი გმირები ებრაელები არიან, რომლებიც საკუთარი თავის ძიებაში ფესვებს უღრმავდებიან („მეათე კაცი") და იქ პოულობენ ცხოვრებისაგან გაჩენილ ურთულეს კითხვებზე პასუხებს, ან კიდევ მოქმედებენ და იღწვიან ქვეყანაში, რომელშიც ისინი დიასპორის პირობებში მოხვედრილან („ჟამი დუმილისა და ჟამი უბნობისა"), გულთან მიუტანიათ ამ ქვეყნის ავ-კარგი, იღწვიან მისი კეთილდღეობისათვის და ამავე დროს არათუ არ კარგავენ კავშირს თავიანთ წარმომავლობასთან, არამედ ერთით მეორეს ეხმარებიან და მეორეთი – პირველს, და ასე შემდეგ. არის ამ რომანებში ბიოგრაფიული მომენტები?***

— თქვენ სწორად აღნიშნეთ მთავარი, იმდენად სწორად, რომ იქნებ არც არაფერი დამრჩა სათქმელი, გარდა იმ კითხვაზე პასუხისა, არის თუ არა ამ რომანებში ბიოგრაფიული მომენტები. არის, რასაკვირველია, არის, მაგრამ ბიოგრაფიული მომენტი გახლავთ მხოლოდ ამა თუ იმ ფაქტის, მოვლენის იმწუთიერი განცდა. მწერლისეული ხედვა კი მაინც იმ შეთხზულ რეალობას ემყარება, რომლის მაპროვოცირებელიც შესაძლოა ბიოგრაფიული მომენტიც გახდეს. მთავარია არა მომხდარი ფაქტი, არამედ ამ ფაქტის განზოგადება, ის, თუ რა თეზას დაუდებს სათავეს ესა თუ ის ფაქტი, მოვლენა. ბიოგრაფიული ფაქტი ჟურნალისტიკაა, მისი შემოქმედებითი განზოგადება – ახალი მხატვრული რეალობის შექმნა, ლიტერატურა.

სწორედ შენიშნეთ-მეთქი, გითხარით. დიახ, საკუთარი ფესვებისაკენ მიბრუნება, წარსულისა და დღევანდელობის ერთ სხივქვეშ მოქცევა, თუნდაც იმისთვისაა აუცილებელი, რომ საუკუნეებით დაშორებულმა თაობებმა ისტორიულ პერსპექტივაში დაინახონ თავი და ჩვენც, ქართველი ებრაელობა ერთ მთლიანობაში წარმოვიდგინოთ. მთლიანობის შეგრძნებას კი ვერ ჰპოვებ, თუ შენს ფესვებს ყოველდღიურად არ უსხამ წყალს.

სამყარო განვითარებადია, ე.ი. ცვალებადი. ეს ცვალებადობა, უწინარესად, ტექნიკურ პროგრესს გულისხმობს, ადამიანური გრძნობები კი მარადიულია. ადამიანი დღესაც ისევე მწვავედ განიცდის სიყვარულს, სიძულვილს, ღალატს, ერთგულებას, ორპირობას, გაუტანლობას, როგორც ათი ან ოცი საუკუნის წინათ განიცდიდა. აბა, ნახე, ასეთი თეზა: ბოროტთა გულისთქმა წარწყდება. როდისაა ეს კეთილშობილური და ოპტიმისტური აზრი გამოთქმული – 2010 წელს? არა, იუდეის მეფე დავითმა 30 საუკუნის წინათ თქვა თეილიმში, თუმცა, სულიერად გაწონასწორებულნი დღესაც ასე იტყოდნენ.

ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია ადამიანებს ვუამბო, რომ იყვნენ, არიან და იქნებიან ებრაელები, რომლებიც ამ მიწაზე ათობით საუკუნეა ცხოვრობენ, ამ მიწის ერთგულნიც გახლავან და თავიანთი ისტორიული სამშობლოს სიყვარული გულით უტარებიათ. მათთვის დამახასიათებელია ყველაფერი ის, რაც საერთოდ ადამიანისათვის, საერთოდ ებრაელისათვის – სიყვარულიც, შურიც, ღალატიც. შესაძლოა, ზოგჯერ ეს ბიოგრაფიული იყოს, და შესაძლოა მხატვრულ გამონაგონს ეყრდნობოდეს.

თქვენ კარგად იცით ებრაული ტრადიციის მიხედვით რასაც ნიშნავს მეათე კაცის ფუნქცია. ამ თეზას ამკვიდრებს ჩემი რომანი მეათე კაცი. და როდესაც თანამედროვეობის ერთ-ერთი გამოჩენილი თეოლოგი, რაბინი ადინ შტაინზალცი რომანის თელავივის ივრითულენოვანი გამოცემის ბოლოსიტყვაში დაწერს: მნიშვნელოვანია იყო მეათე კაცი, რადგან ის ქმნის მინიანს - მლოცველთა ქვორუმს. უამისოდ ადამიანები არიან განცალკევებულ-დანაწევრებულნი, ერთმანეთთან დაუკავშირებელნი. ამ გაგებით გურამი თავად არის მეათე კაცი, რომელიც დაცალკევებულ ებრაელებს ებრაულ საზოგადოებად გადააქცევს. მე ასეთი შეფასება არა მხოლოდ რომანის ავტორის გურამის, არამედ მთელი ქართველი ებრაელობის ღირსების კიდევ ერთ დადასტურებად მიმაჩნია.

***— და ბოლოს, რაზე მუშაობთ ამჯერად?***

— გეგმებზე ლაპარაკი არ მიყვარს. ფიქრის, მოსამზადებელი სამუშაოს პროცესში იგი იხვეწება, სახეს იცვლის. გეტყვით იმას, რაც უკვე განვლილად მიმაჩნია. დავამთავრე პიესა უცნაური სათაურით: მოქმედი პირნი და შემსრულებელნი. დიახ, მიმიხვდით, იგი თეატრზეა. როგორც მეუბნებიან, ერთ თვეში კ. მარჯანიშვილის თეატრში რეპეტიციებს შეუდგებიან. ვნახოთ!

***— მომავალში?***

თუ ღმერთმაც ინება, მინდა ისევ და ისევ ჩემი ერის წარსულს მივუბრუნდე – ქართველ ებრაელთა ყოფაზე ვუამბო მკითხველს.

*რესპონდენტს ესაუბრა*
*მანანა ჯინჯიხაშვილი*
*ნიუ-იორკი, 2010*
*გაზეთი „დავითის ფარი"*
*№149*

# ქებათა-ქება შელომო მეფისა

ძვირფასო შალომ,

ნება მოგვეცით, დაგიდასტუროთ ჩვენი პატივისცემა და მადლიერება იმ საქმიანობისთვის, რასაც თქვენ წლების განმავლობაში ეწევით უცხოეთში ქართველობის შესანარჩუნებლად. თქვენს პატრიოტიზმს, პროფესიონალიზმსა და მაღალ მოქალაქეობრივ თვითშეგნებას უმნიშვნელოვანესი წვლილი შეაქვს იმ წარმატებებში, რასაც საქართველო აღწევს და უახლოეს მომავალში უფრო მეტად მიაღწევს.

ბოლო წლების განმავლობაში ქვეყანაში უამრავი რეფორმა განხორციელდა და საქართველომ მთელი რიგი მნიშვნელოვანი ეკონომიკური მაჩვენებლის კუთხით მსოფლიოში მოწინავე ადგილი დაიმკვიდრა. გაუმჯობესდა საინვესტიციო გარემო, შემცირდა გადასახადები, მინიმუმამდე დადავიდა ბიზნესის წარმოებისთვის აუცილებელი ლიცენზიების რაოდენობა, თითქმის ყველა სფეროში მსხვილი საინვესტიციო პროექტები განხორციელდა, მათ შორის, ქვეყანაში დიასპორული კაპიტალის შემოდინება მოხდა და დღეს ასეთი ინვესტიციები დადებით შედეგებს იძლევა.

მიმდინარე წლის 17-19 მაისს, დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველი ბიზნესმენებისთვის აწყობს ბიზნესტურს – "დაბრუნება საქართველოში". ბიზნესტურის მიზანია კარგად გაგაცნოთ ის სიახლეები, რაც საქართველოს ეკონომიკაში განხორციელდა, წარმოგიდგინოთ ის მიმდინარე პროექტები, რომლებიც ინვესტორთა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს.

კიდევ ერთხელ გვსურს დაგიდასტუროთ ღრმა პატივისცემა და მოგიწვიოთ ბიზნესტურში მონაწილეობის მისაღებად.

საქართველოს სახელმწიფო მინისტრი დიასპორის საკითხებში

მირზა (პაპუნა) დავითაია

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრი

ზურაბ პოლოლიკაშვილი

თბილისში ათი დღე იმყოფებოდა ებრაული კლასიკური ლიტერატურის ქართულ ენაზე დიდებული მთარგმნელი, თეოლოგი შალომ დავიდი. იგი აქ ჩამოვიდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ზურაბ პოლოლიკაშვილის და დიასპორის მინისტრის მირზა (პაპუნა) დავითაიას მოწვევით და მონაწილეობდა სამინისტროს ეგიდით გამართულ საერთაშორისო კონფერენციაში.

შალომ დავიდი შეხვდა ოფიციალურ პირებს, თბილისის დიდ სალოცავში ჩაატარა ლოცვა, ებრაულ სახლში შეხვდა ებრაული საზოგადოების წარმომადგენლებს, ხოლო ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისრაელის კაბინეტში მას შეხვდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი გურამ ლორთქიფანიძე, ბ-ნმა გ. ლორთქიფანიძემ შეხვედრაზე ისაუბრა იუდაიკის კაბინეტის მუშაობაზე, იმ პრიორიტეტებზე, რომლებიც ამ კაბინეტის მუშაობას წარმართავს. პროფესორმა მარიკა ჩაჩიბაიამ შ. დავიდი უნივერსიტეტში ლექციების წასაკითხად მიიწვია.

შ. დავიდმა კმაყოფილება გამოთქვა ამ შეხვედრით და განაცხადა, რომ მზად არის ჩამოვიდეს უნივერსიტეტში ლექციების წასაკითხად.

შალომ დავიდის თბილისში სტუმრობასთან დაკავშირებით გთავაზობთ „ქებათა ქების" მისეულ ჩინებულ თარგმანს.

**შელომო მეფის „ქებათა-ქება" თანახის ერთ-ერთი ურთულესი ნაწარმოებია, რომელიც გვევლინება მსოფლიო ლიტერატურის თვალმარგალიტად. ეს ქმნილება ხოტბასასხამს ღვთისადმი მგზნებარე სიყვარულს. ისრაელი ხალხის ეროვნულ-რელიგიურ-ფილოსოფიური გენიის - „ქებათა-ქების" პოეტურ სახეებში ძველთაგან გამოწიაღდა სიტყვათა, აზრთა და გამონათქვამთა უშრეტი საგანძური, რომელშიც სულის ჭმუნვისა და ღმრთისადმი ტრფიალი ღაღადებს.**



## თავი პირველი

ქებათა-ქება შელომოსი. მეამბოროს (ჩემი მეტრფე) თავის ბაგეთა ამბორით, რამეთუ ღვინოზე უკეთესია შენი ალერსი! საამოა შენი ნელსაცხებლის სურნელი, მოპკურებული ნელსაცხებელია — სახელი შენი. ამიტომ შეგვიყვარეს ქალწულებმა! მიმიზიდე შენი კვლისაკენ, გავიქცეით, მეფემ შემიყვანა თავის პალატებში,— მოვილხენთ და გავიხარებთ შენით, გავიხსენებთ შენს ალერსს, ღვინოზე მეტად (დამათრობელს)! სიწრფელით შეგიყვარეს! შავი ვარ, მაგრამ მშვენიერი, იერუშალაიმის ასულნო, ვით კედრის კარვები და ვით შელომოს კრეტსაბმელები. ნუ მიყურებთ, რომ შავი ვარ, რამეთუ მზისაგან ვარ დამწვარი. დედაჩემის ძენი განმირისხდნენ, დამადგინეს ვენახთა მცველად, ჩემს ვენახს კი ვერ ვუდარაჯე. მითხარი, ჩემი სულის მეტრფეო, სად მწყემსავ, შუადღისას სად განისვენებ? რათა არ ვიყო, ვით მოწანწალე შენი მეგობრების ჯოგებში. თუ შენ არ უწყი, ულამაზესო დიაცთა შორის, მიჰყევი ცხვრის კვალს და მწყემსთა სავანეებთან მწყემსე შენი თიკნები. ჩემს ფაშატს , ფარაონის ეტლში (შებმულს) განმსგავსე შენ, ჩემო სატრფოვ! მშვენიერია შენი ღაწვები, მძივებით მოსილნი, შენი ყელი — ყელსაბამებით მორთული! ოქროს მძივებს გაგიკეთებთ, ვერცხლით დაწინწკლულთ, ვიდრემდის მეფის სერობად იჯდა, თავის სურნელს გადმოსცემდა ჩემი ნარდი. ზმირინის თაიგულია ჩემი მეტრფე ჩემთვის, დაივანებს ჩემს ძუძუთა შორის. ლავზონიის მტევანია ჩემი მეტრფე ჩემთვის ეინ-გედის ვენახებში. ო, რა მშვენიერი ხარ, სატრფო ჩემო, რა მშვენიერი! მტრედისებრია თვალები შენი. ო, რა მშვენიერი ხარ, მეტრფეო ჩემო, რა სანატრელი! მობიბინეა — სარეცელი ჩვენი. თავანნი ჩვენი სახლისა — კედრებია, ჭერი — კვიპაროსისა.

## თავი მეორე

მე ვარ ნარგიზი შარონისა, შროშანი ველებისა! ვით არს შროშანი ეკალთა შორის, ასეა სატრფო ჩემი ჭაბუკთა შორის. ვით არს ვაშლის ხე ტყის ხეთა შორის, ასეა მეტრფე ჩემი ჭაბუკთა შორის! მის ჩრდილში ვიჯექ და ვნეტარებდი, ჩემ სასას ეტკბო ნაყოფი მისი. შემიყვანა მან ღვინის სახლში და სიყვარულად აღმართა ჩემზე თვისი ალამი. გამამაგრეთ ყურძნის ჩამიჩით, დამფარეთ ვაშლებით, რამეთუ ავად ვარ მე სიყვარულით. მისი მარცხენა ჩემს თავქვეშაა და მარჯვენა მისი — მეხვევა. გაფიცებთ თქვენ, იერუშალაიმის ასულნო, ნიამორებს და ველის ფურირებს: ნუ აღაგზნებთ და სიყვარულს ნუ გააღვიძებთ, სანამ თავად არ ინებოს. . აჰა, ხმაა ჩემი მეტრფისა, აჰა, ის მოდის, მთად მონავარდობს, ქედებზე მოხტის. ჩემი მეტრფე ჰგავს ინამორს ანუ ირმის ნუკრს. აი, ის დგას ჩვენი ზღუდის უკან, სარკმელთაგან იჭვრიტება, სამერცხულთაგან იმზირება. მომიგო ჩემმა მეტრფემ და მითხრა: ადექი, სატრფოვ ჩემო, მშვენიერო ჩემო, და წამოდი! რამეთუ აჰა, ზამთარი მიიწურა, ავდარი გარდახდა, თავისთვის წავიდა. კვირტები გამოჩნდნენ ქვეყნად, გალობის ჟამმა მოაწია და გვრიტის ხმა ისმის ჩვენს ქვეყანაში. ლეღვმა გამოიღო ადრეული ნაყოფი და ვაზმა აყვავების სურნელი გამოსცა. ადექი, სატრფოვ ჩემო, მშვეინირო ჩემო, და თავად წამოდი! ჩემო მტრედო, (მისაფრებულო) კლდის ნაპრალებში! მაჩვენე შენი სახე, მასმინე ხმა შენი! რამეთუ საამოა ხმა შენი და სახე შენი — მშვენიერი. დაგვიჭირეთ მელიები, პატარა მელიები, ვენახთა წამხდენნი, რამეთუ ჩვენი ვენახი ჰყვავის. ჩემი მეტრფე ჩემია, და მე მისი ვარ, ის მწყემსავს შროშანთა შორის. ვიდრე დაბერავს დღის ქარი და გარდიხვეწებიან ჩრდილნი, მობრუნდი, ემსგავსე, მეტრფევ ჩემო, ნიამორს ანუ ირმის ნუკრს, ნაპრალოვან მთებში.

## თავი მესამე

ვეძებე ღამით ჩემ საგებელზე ჩემი სულის მეტრფე, ვეძებე იგი და ვერ ვიპოვე. ავდგები-მეთქი და მოვივლი ქალაქის ქუჩებს, მოედნებს. მოვძებნი, ვისაც ეტრფის სული ჩემი. ვეძებე ის და ვერ ვიპოვე. მიპოვეს გუშაგებმა, ქალაქის შემომვლელებმა. — ხომ არ გინახავთ, ვისაც ეტრფის ჩემი სული? ოდეს განვშორდი, ვიპოვე ის, ვისაც ეტრფის სული ჩემი, მას ჩავეჭიდე და არ მოვეშვი, ვიდრე არ მოვიყვანე დედაჩემის სახლში და ჩემი მშობლის ოთახში. გაფიცეთ თქვენ, იერუსალიმის ასულნო, ნიამორებს და ველის ფურირმებს, არ გააღვიძოთ, არ აღაგზნოთ სიყვარული, ვიდრე თავად არ ინებოს. ვინაა იგი, უდაბნოდან აღმომავალი, ვით კვამლის სვეტი, ზმირინითა და გუნდრუკით კმეული და ნელსაცხებელთა ყოველი სურნელით. აი, შელომოს სარეცელი! სამოცი გმირია მის ირგვლივ, გმირთაგან ისრაელისა. ყველას თავისი მახვილი უპყრია, ომში გაწვრთნილნი არიან, გვერდზე ( არტყია) თითოეული თავისი მახვილი ღამეული შიშის გამო. ტახტრევანი გაიკეთა მეფე შელომომ ლევანონის ხეთაგან. მისი სვეტები ვერცხლისგან შექმნა, მისი გადასაკარგი — ოქროსგან, მისი მოსავანებელი — ძოწეულისგან, მისი შიგნეული კი იერუშალაიმის ასულთა სიყვარულით მოიქარგა. გამოდით, ციონის ასულნო, და იხილეთ მეფე შელომო, გვირგვინითურთ, რომლითაც დედამისმა დააგვირგვინა იგი მისი ქორწინებისა და მისი გულის სიხარულის დღეს.

## თავი მეოთხე

ო, რა მშვენიერი ხარ, სატრფოვ ჩემო, ო, რა მშვენიერი ხარ! შენი თვალები მტრედებია შენი პირსაბურის ქვეშ!. შენი თმა არვეა თხათა, გილადის მთიდან რომ ჩამოეშვნენ. შენი კბილები გაპარსული ცხვრის არვეა, საბანაოდან რომ ამოვიდნენ, ყველა უზადოა და ურწანი არაა მათში. შენი ბაგენი ალისფერი ძაფია და საამოა უბნობა შენი. შენი საფეთქელი ბროწეულის წილაკია შენი პირსაუბრის ქვეშ. შენი კისერი დავიდის კოშკია, ტრფობისათვის აგებული, ათასი ფარი ჰკიდია მასზე, გმირთა ყოველი ბეგთარი. შენი ორი ძუძუ, ვით ორი ნუკრია, ნიამორის ტყუპებია, მძოვარნი შროშანთა შორის. ვიდრე დაჰბერავს დღის ქარი და გარდახვეწს ჩრდილებს, წავალ ზმირინის მთისკენ და (ავალ) საკმევლის ბორცვზე. ყოვლად მშვენიერი ხარ, სატრფოვ ჩემო და ზადი არ არის შენში! წამო ლევანონიდან სძალო! გამოეშურე ამანის მწვერვალიდან, სენირისა და ხერმონის მწვერვალიდან, ლომთა ბუნაგთაგან, ვეფხვთა მთებიდან. შენ დაატყვევე გული ჩემი, ო, სძალო, დაო ჩემო! შენს თვალთა ერთი მზერით დაატყვევე გული ჩემი, შენი ყელსაბამის ერთი მძივით! რა საამოა ალერსი შენი, დაო ჩემო, სძალო! რაოდენ სჯობია ალერსი შენი ღვინოს და შენი ნელსაცხებლების სურნელი ყოველნაირ სურნელოვნებას! გოლეულს წვეთენ ბაგენი შენი, სძალო! თაფლი და რძეა შენი ენის ქვეშ, შენი სამოსლის სურნელი, სურნელია, ვით ლევანონისა! ბაღი ხარ კარდახშული, დაო ჩემო, სძალო, ჭა დახშული, წყარო დაბეჭდილი. შენი ყლორტები ბროწეულთა წალკოტია, უტკბესი ნაყოფებით, ლავზონიებითა და ნარდიონებით, ნარდით და ზაფრანით (კეთილსურნელოვანი) ლერწამით და კინამოთი, საკმევლის ყველა ხეებით, ალოეთი, ყველა გამორჩეული სურნელოვნებით. ბაღების წყარო, ჭის მაცოცხლებელი წყლები, მომდინარენი ლევანონიდან. გამოიღვიძე, ჩრდილოეთის (ქარო) და მოდი სამხრეთით, (ქარო), მოჰბერე ჩემს ბარს და იწვეთოს მისმა სურნელმა! მოვიდეს თავის ბაღში მეტრფე ჩემი და მისი უტკბესი ნაყოფი იგემოს!

## თავი მეხუთე

მივედი ჩემს ბაღში, დაო ჩემო, სძალო, მოვკრიფე ჩემი ზმირინი ჩემი სურნელებითურთ. ვიგემე ჩემი გოლეული ჩემი თაფლითურთ, დავლიე ჩემი ღვინო ჩემი რძითურთ. ჭამეთ, მოყვასნო, სვით და დათვერით მეტრფენო! მე მძინავს, ჩემი გული კი ფხიზლობს. ხმაა! ჩემი მეტრფე აკაკუნებს: გამიღე (კარი), დაო ჩემო, სატრფოვ ჩემო, მტრედო ჩემო, უმანკოვ ჩემო, რამეთუ თავი ჩემი ცვარით აღივსო, ჩემი კოლულები — ღამეული (ცვრის) წვეთებით. გავიხადე პერანგი, როგორღა ჩავიცვა? დავიბანე ფეხები, როგორღა დავისვარო? ჩემმა მეტრფემ ხვრელიდან გამომიშვირა ხელი და ჩემი შიგნეული შეძრწუნდა მისთვის. ავდექი, რომ გამეღო ჩემი მეტრფისთვის, და ჩემი ხელნი წვეთავდნენ ზმირინს და ჩემს თითთაგან ზმირინი ეწვეთებოდა ურდულის სახელურით. ჩემს მეტრფეს გავუღე (კარი) და მეტრფე ჩემი გასხლტდა, წავიდა. სული აღმომხდა მის ხმაზე. ვეძებე ის და ველარ ვპოვე, მოვუხმე მას და არ მომიგო. მიპოვეს გუშაგებმა, ქალაქის შემომვლელებმა. მცემეს, დამჭრეს, მომხადეს მოსასხამიგალავანთა მცველებმა. გაფიცებთ თქვენ, იერუშალაიმის ასულნო, თუ ჰპოვებთ ჩემ მეტრფეს, რას ეტყვით მას? სიყვარულით დასნეულდაო? რით სჯობს შენი მეტრფე სხვათა მეტრფეებს ულამაზეს დიაცთა შორის? რით სჯობს შენი მეტრფე სხვათა მეტრფეებს, ასე რომ გვაფიცებ? თეთრ ყირმიზია მეტრფე ჩემი, ათიათასთაგან გამორჩეული. მისი თავი ხალასი ოქროა, მისი დალალნი (ვაზის) კულულებია, შავია ყორანივით. მისი თვალები მტრედებია წყლის ნაკადებთან, რძეში განბანილი, (ჩასმულნი ლალის) ბუდეში. მისი ღაწვები, ვით წალკოტია სურნელებისა, ნელსაცხებლიან მცენარეთა ყვავილნარია, მისი ბაგენი შროშანებია, მომდინარე ზმირინს რომ ღვენთავენ. ხელები მისი იკინთით ავსებული თლილი ოქროა, მუცელი მისი სპილოს ძვლისაა, მოსილი საფირონებით. წვივები მისი — მარმარილოს სვეტებია, ოქროს კვარცხლბეკზე დაფუძნებულნი, მისი შესახედაობა, ვითარცა ლევანონია, რჩეულია კედარისავით. მისი სასა — სიტკბოებაა, თავად კი — ყოვლად თვალწარმტაცი! ესაა მეტრფე ჩემი, ეს არის მეგობარი ჩემი, იერუშალაიმის ასულნო.

## თავი მეექვსე

სად წავიდა მეტრფე შენი, ულამაზესო დიაცთა შორის? სად გაეშურა მეტრფე შენი? მას მოვძებნით შენთან ერთად. თავის ბაღში ჩავიდა მეტრფე ჩემი, სურნელოვან კვლებში, ბაღებში სამწყესად და შროშანთან დასაკრეფად. მე ჩემი მეტრფისა ვარ და ჩემია მეტრფე ჩემი, რომელიც მწყემსავს შროშანთა შორის. მშვენიერი ხარ, სატრფოვ ჩემო, თირცისამებრ, ლამაზი — იერუშალაიმისავით! საშინელი, ვით დროშოვანი ლაშქარი. ამარიდე თვალები შენი, რამეთუ მათ შემათრთოლეს! შენი თმა, ვით თხათა არვეა, გილადიდან დაშვებული. შენი კბილები ცხვრის ფარია საბანაოდ ამომავალი, ყველა უზადოა და ურწანი არაა მათში. შენი საფეთქელი, ვით წილაკია ბროწეულისა შენი პირსაბურის ქვეშ. სამოცი დედოფალია, ოთხმოცი ხარჭა და ურიცხვი ქალწული. ერთადერთია, ჩემი მტრედი, უმწიკვლო ჩემი, ერთადერთია დედამისისთვის, რჩეულია თავისი მშობლისთვის. იხილეს ასულებმა და ნეტარყვეს იგი, დედოფლებმა და ხარჭებმა კი შეაქეს. ვინ არის იგი, განთიადივით მჭვრეტელი, მთვარისებრ მშვენიერი, მზისებრ ნათელი? და მრისხანეა, ვით დროშოვანი ლაშქარი. ჩავედი ნიგვზის ბაღჩაში ხეობის ყლორტთა სახილველად, რომ მენახა, თუ აყვავდა ვაზი, თუ გაიფურჩქნა ბროწეული. არ ვუწყი, (მაგრამ) ჩემმა სატრფომ ჩემი ხალხის დიდებულთა ეტლს დამაკავშირა.

## თავი მეშვიდე

დაბრუნდი, დაბრუნდი, შულამით, მობრუნდი, მობრუნდი, და შენ დაგაცქერდებით! რად უცქერით შულამითს, ვით ორმწკრივ ფერხულს? ო, რა ლამაზია შენი ფეხები ფეხსამოსებში, დიდებულთა წრის ასულო! შენს თეძოთა სიმრგვალე — სამკაულია, ქმნილია ხელოვანის ხელით. შენი უპე — მრგვალი სამწდეურია, სურნელოვანი სასმელისაგან მოკლული. შენი მუცელი ხორბლის ხვავია, შროშანთაგან მოარშიებული. შენი ორი ძუძუ, ორი ნუკრია, ტყუპებია ნიამორისა. შენი ყელი — სპილოს ძვლის კოშკია. შენი თვალები ხეშბონური გუბურებია ბათრაბიმის კარიბჭესთან. შენი ცხვარი ლევანონის კოშკია, დამასეკისკენ რომ იმზირება. შენი თავი ქარმელის მთაა და კულულები შენს თავზე — მეწამულია. — კულულებით დატყვევდა მეფე! რა მშვენიერი ხარ, რა საამო, სიყვარულო, ნეტარებათა შორის! ეს ტანადობა შენი ჰგავს ფინიკს, შენი ძუძუნი — მტევნებს. ვთქვი: ავალ ფინიკზე და მის ტოტებს მოვეჭიდები. ო, ნეტავ იქმნენ ძუძუნი შენი, ვით მტევნები ვაზის და შენს ნესტოთა სურნელი, ვითარცა სურნელი ვაშლის. შენი სასა არს, ვით ღვინო სურნელოვანი, ჩემი მეტრფისკენ მიღვარული, მძინარეთა ბაგეთ რომ აროშვინებს. მე ჩემი მეტრფისა ვარ და ის მოილტვის ჩემკენ. მოდი, მეტრფევ ჩემო, გავიდეთ ველად, ღამე სოფლებში ვათიოთ. ადრე ავდგეთ ვენახთა მოსახილავად, ვიხილოთ, თუ აყვავდა ვაზი, თუ გაიშალა კოკორი, გაიფურჩქნენ ბროწეულები? იქ მოგიძღვნი ჩემ ალერსს. გამოსცემენ სურნელს მანდრაგორები და სანუკვარი ხილია ჩვენი კარის წინ, ახალი და ძველი. ჩემო მეტრფეო, მაქვს შენახული შენთვის.

## თავი მერვე

ვინ გაქცევს ჩემს ძმად, დედაჩემის ძუძუნაწოვად! გარეთ გიპოვნიდი, გაკოცებდი და არ გამკიცხავდნენ! წაგიძღვებოდი, დედაჩემის, ჩემი აღმზრდელის სახლში შეგიყვანდი, სურნელოვან ღვინოს — ჩემი ბროწეულის წვენს შეგასმევდი. მისი მარცხენა იქნებოდა ჩემს თავქვეშ და მომეხვეოდა მარჯვენა მისი. გაფიცებთ თქვენ, იერუშალაიმის ასულნო: არ გააღვიძოთ, არ აღძრათ სიყვარული, ვიდრე თავად არ ინებოს! ვინ არის ეს, უდაბნოდან ამომავალი, თავის მეტრფეზე დაყრდნობილი?! ვაშლის ხის ქვეშ გაგაღვიძე. იქ გშვა დედაშენმა, იქ გშვა მშობელმა შენმა. დამდევი, ვითარც ბეჭედი შენს გულზე, როგორც ბეჭედი შენს მკლავზე, რამეთუ ძლიერია შენი სიყვარული, ვით სიკვდილი, მძვინვარეა ქვესკნელივით შური. მისი ალმური ცეცხლოვანი ალმურია, უფლის ალი. სიყვარულს ვერ დაშრეტს წყალი მრავალი და მდინარენი ვერ წალეკავენ მას. თუნდაც რომ გასცეს კაცმა თავისი სახლის მთელი ქონება სიყვარულისთვის, გაწბილებით გაწბილდება იგი. პატარა დაი გვყავს ჩვენ, მას კი ძუძუნი არა აქვს. რა ვუყოთ ჩვენს დას იმ დღეს, როცა დაუდგება გათხოვების ჟამი? ზღუდე, რომ იყოს კოშკს ავაშენებდით მასზე. კარი რომ იყოს — კედრის ფილებით გადავრაზავდით. მე ზღუდე ვარ და ვით კოშკია ძუძუნი ჩემი. აწ კი მის თვალში სიცოცხლის წყაროდ გარდავიქცევი. ბაალ-ჰამონში ვენახი ჰქონდა შელომოს. უბოძა დარაჯებს ვენახი. თითოეულს მიჰქონდა ათასი ვერცხლი მისი ნაყოფისათვის. ჩემი ვენახი ჩემს წინაშეა. ათასი შენია შელომო, ორასი — ნაყოფთა მცველების. საბაღნაროთა მკვიდრო, მეგობრები უყურადებენ შენს ხმას — მასმინე მეცა! გაიქეცი, მეტრფევ ჩემო, ემსგავსე ნიამორს ანუ ირმის ნუკრს სურნელოვან მთებზე.



### რას ვკითხულობთ ამ კვირაში?

რუბრიკას უძღვება საქართველოს მთავარი რაბინი **არიელ ლევინი**



შ ლ ა ხ

ამ თავში მოთხრობილია იმ თორმეტ მზვერავზე, ტომის ბელადზე, რომლებიც უდაბნოდან წავიდნენ ისრაელის მიწის დასაზვერად. ათმა მათგანმა არ მოინდომა იქ შესვლა, რისთვისაც ისინი დაისაჯნენ. მზვერავების ცოდვა უფრო მძიმეა ვიდრე ოქროს ვერძის ცოდვა. რატომ? იმიტომ, რომ ეს შეუფერებელი, უმადლო ბოროტი ენები იყო (ლაშონ ჰარა), ეს არ იყო ის, რაც მოხდა ოქროს ვერძის შემთხვევაში. და, მიუხედავად იმისა, რომ მზვერავებმა სცადეს თეშუბაზე მოსვლა, ისინი მაინც დაიხოცნენ უდაბნოში. სფორნო სთვლის, რომ ეს მოხდა გამჩენის სახელის შებღალვის („ხილულ") გამო, იმის გამო, რომ ისინი გამჩენის იმედზე არ იყვნენ. „რატომ მოგვიყვანა აქ – იმიტომ, რომ ხმლით აგვჩეხონ?" – და გამჩენმა არ მიიღო მათი თეშუბა, რადგანაც გამჩენის სახელის შებღალვა სიკვდილით გამოისყიდება.

უმატებს, ისინი დაისაჯნენ იმიტომ, რომ სთქვეს: „დავბრუნდებით ეგვიპტეში და ვიცხოვრებთ იქ თორისა და მიცვების გარეშე. აქედან კაგად ჩანს რამდენად მძიმეა გამჩენის სახელის შებღალვის ცოდვა და რაოდენ დიდია გამჩენის განდიდების („კიდუშ") მიცვა.

ერთი ბავშვი ძალიან მძიმედ დაავადდა და საავადმყოფოში მოხვდა. ერთი წლის შემდეგ, როცა ბავშვი გამოჯანმრთელდა, მშობლებმა გადაწყვიტეს, რომ მათი ვალია იზრუნონ ამ საავადმყოფოში მოხვედრილ ბავშვებზე.

„იოსების ტომი, მენაშეს ტომი". რატომ წერია ასე? უნდა იყოს „ეფრაიმის ტომი, მენაშეს ტომი". კომენტატორი გვიხსნის, რომ ჩვეულებრივ იოსებთან ეფრაიმი დგას, ახლა კი – მენაშე. ფრაიმის ტომიდან მზვერავად იეჰოშუა ბინ ნუნი წავიდა, რომელიც ისრაელის მიწაზე მხოლოდ კარგს ამბობდა და ამიტომაც არ შეუცოდავს სხვა მზვერავებთან ერთად. მენაშეს ტომის მზვერავი კი იმ ათიდან, რომელნიც ცუდად მოიხსენიებდნენ ისრაელის მიწას, ერთ-ერთი იყო. იოსები ძმების ცუდს მამას უყვებოდა, მისი შთამომავალიც მენაშეს (იოსების ვაჟიშვილის) ტომიდან ლაშონ ჰარას ამბობდა ისრაელის მიწაზე. გამოდის, რომ ლაშონ ჰარას თქმის ძალა იოსებიდან გადავიდა მენაშეს ტომზე. (ამასთან, ეფრაიმი აქ ცალკეა მოხსენიებული, რადგანაც იეჰოშუა არ შეუერთდა მზვერავებს). აქედან კარგად ჩანს, თუ რა ძალა აქვს ლაშონ ჰარას, რომ ის ჯერ ერთი თაობებს გადაეცემა, და მეორეც ის, რომ ნათქვამი სიტყვა რჩება და მას ვერაფრით წაშლი. მაგალითად, თუ ადამიანზე ვინმეს უთხარით, რომ ის იტყუება, შემდგომში, რაც არ ყნდა ეცადოს ეს ადამიანი, მსმენელს მის შესახებ შთაბეჭდილებას ვერ შეუცვლი.

„და აიძულა კალევმა გაჩუმება".

რაში გვიხსნის, თუ როგორ აიძულა გაჩუმება. მან სთქვა, განა მხოლოდ ეს გააკეთა ამრამის ძემ (მოშემ), ანუ ის არ მოიხსენია სახელით. „სიფთეი ჰახაიმ" გვიხსნიან, რომ ის ვისაც მოძმე უყვარს, მას სახელით მოიხსენიებს. ასევეა შაულთანაც, როცა ის ეკითხება იონათანს: „რატომ არ მოდის იშაის ძე?" იონათანი პასუხობს: „უნდა ვკითხოთ თავად დავითს". აქ შაული განრისხდა, რადგანაც იონათანმა დავითი სახელით მოიხსენია (რაც მისი დავითისადმი სიყვარულის ნიშანია). წერია „მეგილათ ესთერში": „და უთხრეს მეფის მსახურებმა: არაფერი გაგვიკეთებია მისთვის (მორდეხაისათვის)". გემარაში ამის შესახებ წერია, რომ მათ ასე სთქვეს არა მორდეხაისადმი სიყვარულის გამო (რათა ის დაეჯილდოებინათ), არამედ ამანის სიძულვილის გამო. და ეს გასაგებია, რადგანაც მორდეხაი სახელით არ ახსენეს. სახელის დარქმევას რაც შეეხება, არ ღირს ახალი სახელების ძებნა. არის ასეთი ფასუქი „ჩემი სახელი და ჩემი წინაპრების სახელი" („ბერეშითი", იაკობის სიტყვები), აქედან გამომდინარე, უნდა დავარქვათ ებრაულ ტრადიციაში ცნობილი სახელები.

„და აიძულა კალევმა გაჩუმება. . . და სთქვა: „ავალთ და მივიღებთ მემკვიდრეობად მას (ისრაელის მიწას)".

რატომ დუმდა იეჰოშუა? მეშეხ ხოხმა გვიხსნის, მთავარი, რის გამოც ებრაელებს ეშინოდათ, იყო ის, რომ მათ იცოდნენ ელდადასა და მეიდადის წინასწარმეტყველება: „მოშე გარდაიცვალა და იეჰოშუა შეგვიყვანს ჩვენ ისრაელში". და როდესაც მათ ეს მოისმინეს, სულიერად დაეცნენ, რადგან არ სჯეროდათ საკუთარი ძალების, და თვლიდნენ, რომ მოშეს გარეშემტრებს ვერ გაუმკლავდებოდნენ. და ამიტომ კალევი ამბობს: „ნუ ფიქრობთ, რომ მოშეს გარეშე ვერაფერს შეძლებთ, თქვენ თავად გაქვთ ძალა „შევალთ და მივიღებთ მემკვიდრეობას". იეჰოშუას ამის თქმა არ შეეძლო, რათა არ ეთქვათ, რომ ამას საკუთარი დიდებისა და პატივის მოსაპოვებლად ამბობსო. ყოველ ებრაელს აქვს ძალა.

და შულხან არუხშიც (ევენ ეზერ) არის კანონი, რომ თუ ადამიანი ნახეთ სადმე და იმავე დღეს ის ნახეთ სხვაგან, ისეთ ადგილას, სადაც შეუძლებელია მოკლე ხანში მისვლა, უნდა იფიქროთ, რომ ის იქ მივიდა „შემ ამეფურაშის" (გამჩენის განსაკუთრებული სახელი, რომლის დახმარებითაც ადრე სასწაულებს ახდენდნენ) დახმარებით. ასე ჩავიდა რაბი იეჰუდა ჰანასი ტვერიიდან რომში კვირას იმპერატორ კალტინოსთან, იმისდა მიუხედავად, რომ მან იმპერატორის დანაბარები მხოლოდ მერევ შაბათს შეიტყო.

ადამიანის კარგი და ცუდი თვისებები. რა თვისებები აქვთ ჩვენს გამოჩენილ, დიდ ადამიანებს? ერთხელ ხატამ სოფერმა მიიღო შეკითხვა, რომელსაც მოკლე პასუხი გასცა და თან ბოდიშიც მიაწერა. იმის გამო, რომ მისი მეუღლე მშობიარობდა, ის ვერ შევიდა მის ოთახში, სადაც მას ის წიგნი ჰქონდა, რომლის დახმარებითაც სრული პასუხის დაწერა შეეძლო. შესაძლებელია ჩვენ დავკარგეთ უდიდესი ხატამ სოფერის პასუხი, მაგრამ მან მეუღლეს მშობიარობაში ხელი არ შეუშალა.

„და დაეცა მოშე". ასევე წერია კორახთან დაკავშირებით („და დაეცა მოშე სახით"). იბნ ეზრა ორივე შემთხვევაზე გვეუბნება, რომ მოშე დაეცა საკუთარი სურვილით. მაგრამ, როცა ლოცულობენ და ებრაელ ხალხს ავედრებენ, მაშინ „დაეცა" – ეს ლოცვაა. და ეს არის გდულა (სიდიადე). როცა მათ მზვერავები ადანაშაულებენ („და უჩიოდნენ ისინი მოშეს"), და როცა კორახის მიერ შეკრებილი პატივცემული ადამიანების წინაშე ამბობს: „რატომ მაღლდებით თქვენ გამჩენის თემზე", სწორედ იქ ეცემიან მოშე და აჰარონი სახით, ქვიშაში, მზვერავებისა და კორახის თვალწინ. მაგრამ ეს ხდება არა სულის ან ფიზიკური სისუსტის გამო, არამედ როგორც იბნ ეზრა წერს: „საკუთარი ნებით, გააზრებულად, და არა შურისძიების სურვილით, არამედ ისევე, როგორც გამჩენი, რომელსაც ესმის შეურაცხყოფა და დუმს". გვეუბნება გემარა კიდუშინი: „ ბაბილონის ებრაელთა დუმილი – ეს მათი კარგი გენეალოგიის ნიშანია".

„და იეჰოშუა ბენ ნუნმა და კალევ ბენ იეფუნემ . . შემოიხიეს ტანსაცმელი". რატომ მათ და არა მოსე მ და აჰარონმა? იმიტომ, რომ მათ ეშინოდათ მზვერავების გვერდით ყოფნისას ხომ არ წაეცხოთ მათი საწამლავი, ამიტომაც შემოიხიეს ტანსაცმელი, რათა ცოდვის სულ პატარა მტვერიც კი, რომელიც მათ მიეკრა, ჩამოერეცხათ. და რატომ იდგნენ ისინი მზვერავებთან? ისინი ხომ წმინდანები იყვნენ, როცა მიდიოდნენ ისრაელის მიწაზე? გვიხსნიან, რომ მათ ეშინოდათ, რომ ებრაელები უდაბნოში მიღებულ სულიერებას დაკარგავდნენ და უბრალო მიწის მუშებად იქცეოდნენ. არის კიდევ სხვა ახსნა, რომ მათ ეშინოდათ საკუთარი მდგომარეობის დაკარგვისა, მაგრამ ეს მხოლოდ ქვეცნობიერად ხდებოდა. აქედან შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი დასკვნა: ადამიანი, როცა რაიმეს აკეთებს, უნდა შეამოწმოს საკუთარი თავი, აკეთებს თუ არა ამას გამჩენის სახელზე (ლეშემ შამაიმ).

# სკანდალი „ჯოინთში“: მოლდაველი მოსამართლის მოსყიდვის მცდელობა

საერთაშორისო საქველმოქმედო ებრაულ ორგანიზაციაში „ჯოინთი“ დიდი სკანდალია. ამ სკანდალის თაობაზე პირველად პორტალი Iz-Rus იუწყებოდა, ახლა კი საქმემ სხვა მიმართულება მიიღო: გაზეთმა „მაარივმა“ გამოარკვია, რომ საკითხი ეხება მოლდოვაში მოსამართლის მოსყიდვას. ამ მოსამართლეს „ჯოინთის“ წინააღმდეგ აღძრული საქმე მიჰყავდა. მიუხედავად იმისა, რომ „ჯოინთის“ ხელმძღვანელობა ცდილობს დამალოს ამ საქმის დეტალები, იგი მაინც გამოდის პრესის ფურცლებზე. როგორც გამოირკვა 2006 წელს მოლდოვას სამშენებლო კომპანიამ „inconnecom“ ჩაატარა რემონტი კიშინიოვის ებრაულ სათემო ცენტრში. ეს რემონტი 270 ათასი დოლარი დაჯდა, მაგრამ კომპანიასა და „ჯოინთს“ შორის წამოიჭრა ფინანსური ხასიათის გაუგებრობანი. მშენებლებმა ებრაულ ორგანიზაციას სასამართლოში უჩივლეს.

დოკუმენტების მიხედვით, „ჯოინთის“ თანამშრომლებს გამოურკვევიათ, რომ კიშინიოველი მშენებლები მოსამართლის მოსყიდვას აპირებდნენ, ამიტომ გადაწყვიტეს „inconnexcom“ – ისათვის დაესწროთ და თავად მოესყიდათ მოსამართლე. „ჯოინთმა“ მოსამართლეს უფრო დიდი თანხა შესთავაზა – საქმის ღირებულების 10%. ეს კი 27 ათასი დოლარი გახლდათ. მოსამართლის მოსყიდვის იდეა „ჯოინთის“ დსთ-ს განყოფილების იურიდიულ მრჩეველს – იური გრინშპუნს ეკუთვნის. „მაარივმა“ გამოაქვეყნა კიდეც მასთან მიწერ-მოწერის ნაწილი. იური გრინშპუნის დსთ-ს განყოფილების ხელმძღვანელთან საუბრის შემდეგ მიღებული იქნა გადაწყვეტილება ეს ფული კიშინიოვში წაეღოთ. 27 ათასი დოლარი კიშინიოვში იქნა ჩატანილი და ადგილობრივი ორგანიზაციის იურისტს გადასცეს. როგორც მიწერ-მოწერიდან ირკვევა, საქმე მოკვარახჭინდა – როგორც ჩანს, ფული მოსამართლემდე მივიდა – „ჯოინთმა“ საქმე მოიგო, მაგრამ სამშენებლო მოიჯარადრემ იგი გაასაჩივრა. საქმის მეორე განხილვა „ჯოინთის“ სასარგებლოდ არ დამთავრდა.

რამდენიმე თვის წინათ „ჯოინთის“ ყოფილმა თანამშრომელმა ამ ამერიკული საქველმოქმედო ორგანიზაციის მეთაურს სტივენ შვაგერს გააცნო საქმის დეტალები და მოითხოვა დაწვრილებით შეესწავლათ იგი. „ჯოინთის“ ხელმძღვანელობამ დაიწყო „ჯოინთის“ იერუსალიმის ფილიალის შინაგანი გამოძიება. სწორედ იერუსალიმის ფილიალის თანამშრომლები გახლდნენ გახვეული ამ საქმეში.

„ჯოინთის“ ოფიციალური რეაქციის მეოხებით, იერუსალიმის ფილიალის ორი თანამშრომელი სამსახურიდან დაითხოვეს, ორს კი გამაფრთხილებელი წერილი გადაეცა.

## ეწყობა საზაფხულო ბანაკი



ბანაკი „ბან ისრაელი“
ბათუმი, მწვანე კონცხი
5770-2010 წელი
ცხოვრების ლამაზი დღეები
ბიჭებისათვის 17 ივნისი - 28 ივნისი
გოგონებისათვის 30 ივნისი - 11 ივლისი
ადგილების რაოდენობა შეზღუდულია
მსურველები დაგვიკავშირდით ტელეფონზე
8-92-48-88-46

## „შალომ სეზამის“ ზეიმი



25 მაისს თბილისის ებრაულ სათემო სახლში კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდის მიერ ჩატარდა საბავშვო პროგრამა „შალომ სეზამ“-ის კონცერტი, რომელიც „შავუოტს“ მიეძღვნა.

ამ პროგრამაში სკოლამდელი და უმცროსი კლასების ბავშვები მონაწილეობდნენ.

კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდის დირექტორი ელენე ბერკოვიჩი გახლავთ, პროგრამა „შალომ სეზამის“ ხელმძღვანელი მარიეტა ისრაელიანია, ინგლისური და ებრაული ენის პედაგოგები ელენე ნინიძე და ელენე შეხტერი, ვოკალური სტუდიის ხელმძღვანელი – ვილი გრიგორიანი.

„შალომ სეზამის“ ბავშვებმა ქართულ, ებრაულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე წაიკითხეს ლექსები, შეასრულეს სიმღერები და საცეკვაო ნომრები. მათ წარმოიდგინეს მშობლების დახმარებით გაკეთებული ხილის კალათები. ბავშვები მშობლების მიერ შეკერილ საზეიმო ტანისამოსში იყვნენ გამოწყობილნი.

ეს ნამდვილად ძალიან ლამაზი, ნათელი და მხიარული სანახაობა გახლდათ. ბავშვებმა არაჩვეულებრივად გაართვეს თავი კონცერტს.

*მოამზადა ლიდია ხომენკომ*



## წიგნის პრეზენტაცია

24 მაისს ნ. ბარათაშვილის სახლ-მუზეუმში შეხვედრა მოუწყეს ქ. ხაიფიდან ჩამოსულ ქალბატონს თამი სეფიაშვილს. საქართველოს ერთიანობისათვის თავდადებულმა ცნობილმა პიროვნებამ – დოდო გუგეშაშვილმა შეკრებილთ წარუდგინა თამი სეფიაშვილის წიგნი, რომელშიც შესულია მისი პოეტური და პროზაული ნაწარმოებები.

შეხვედრაზე გამოსულმა პოეტებმა, მეცნიერებმა დადებითი შეფასება მისცეს თ. სეფიაშვილის ლიტერატურულ ნაწარმოებებს, აღნიშნეს ავტორის თვისებები: შეამჩნიოს მთავარი, გადმოსცეს ადამიანის ყოფა.

შეხვედრაზე ერთობ სასიამოვნოდ იქნა აღქმული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ თამი სეფიაშვილი გახლდათ ერთ-ერთი იმ ქალბატონთაგანი, რომლებიც აგვისტოს ომის შემდგომ დაჭრილ, ისრაელის საავადმყოფოებში მოხვედრილ, ქართველ ჯარისკაცებს უვლიდნენ.



თბილისის „ჯოინთი“-ს კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს „ჯოინთის“ წარმომადგენლის მოადგილეს ზოჰარ დავიდს მამის –

ნოდარ დავითაშვილის

გარდაცვალების გამო

ჰემოტოლოგიისა და ქიმიოთერაპიის კლინიკა "ჰემა"-ს თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ „ჯოინთის“ წარმომადგენლის მოადგილეს ზოჰარ დავიდს მამის

ნოდარ დავითაშვილის

გარდაცვალების გამო

დამფუძნებელნი და გამომცემელნი:
**გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე**
**თბილისი, ლეონიძის 11ა, ვახტანგ VI ქ.** №30
**ტელეფონები: 99.90.96, 77.20.57**

რეგისტრირებულია
ქ. თბილისის მთაწმინდის
რაიონის სასამართლოს
მიერ.
რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი
გურამ ბათიაშვილი
ISSN 1987-8982 UAC 070 411.16/მ-557
9771987898003